# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 13 დეკემბერი 2003 №238 (2009) ფასი 50 თეთრი


# ჟორდანია ციხეში გამოიზამთრებს






## მოსამართლე სონღულაშვილმა შეთავაზებული 150 000 იცოტავა

# ჟორდანიას 150 000 მოსამართლემ არ აიღო

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ წუხელ სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. ხუთსაათიანი სასამართლო პროცესი დახურული იყო და დარბაზის კარი მხოლოდ გადაწყვეტილების გამოცხადებისას გაიღო. ვიდრე მოსამართლე მამუკა სონღულაშვილი განაჩენს კითხულობდა, მერაბ ჟორდანია ციხეში მიჰყავდათ. მანამდე კი...

ჟორდანია გუშინ გამთენიისას თბილისის აეროპორტში დააკავეს. სამართალდამცავთა განმარტებით, ჟორდანია ქვეყნის დატოვებას უკანონოდ, ყოველგვარი საბუთების გარეშე ცდილობდა. საპირისპიროს ამბობს პრეზიდენტის სახლობლო, მერაბი აეროპორტში ნათესავების გასაცილებლად იმყოფებოდაო. დაკავებისთანავე ჟორდანიას ბრალი წაუყენეს, რვა საათისთვის კი სასამართლო სხდომაც დაიწყო.

პროცესი მოსალოდნელზე დიდხანს გაგრძელდა. დაკავებულის გულშემატკივრები იმედიანად იყვნენ და მერაბ ჟორდანიას ფეხბურთის ფედერაციის, პროფლიგის, ვეტერან ფეხბურთელთა და რამდენიმე ავტორიტეტული პიროვნების თავდებით გათავისუფლებას ელოდნენ.

პროცესის დაწყებამდე დაახლოებით ორი საათის შემდეგ სასამართლოს დარბაზიდან ფეხბურთის ფედერაციის იურისტი არჩევან ლომიძე გამოვიდა.

პირველი ინფორმაცია: სასამართლო მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების სანაცვლოდ 240 ათასი ლარის გირაოდ გადახდას სთავაზობს. სასამართლოს პირობა ასეთია — თანხა 13 დეკემბრის რვა საათამდე შესაბამის ანგარიშზე უნდა იყოს. პრობლემაც მაშინვე გაჩნდა. ამ ოდენობის თანხა შინ არავის აქვს, ბანკებში კი სამუშაო დღე დამთავრებულია. თუმც ჟორდანიას ახლობელ-მეგობრები ლომიძის მოტანილმა ამბავმა მაინც შეაგულიანა. სასამართლო შესვენებაზე გადის, მომლოდინეებს კი ჟორდანიას ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი ხვდება.

ინფორმაცია მეორე: მერაბ ჟორდანიამ სასამართლოს გირაოდ 150 ათასი ლარის გადახდა შესთავაზა 70 ათასს გუშინვე, დანარჩენს კი მომავალ კვირაში.

როსტიაშვილს სასამართლო პროცესზე უხმეს. ბრალდებულის ქომაგები კიდევ უფრო იმედიანად არიან. გაილია ორი-სამი საათიც და...

განაჩენი — მოსამართლე მამუკა სონღულაშვილი კითხულობს: მერაბ ჟორდანიას შემოთავაზებული 150 ათასი არაგონივრული თანხაა... მერაბ ჟორდანიას მიესაჯოს სამთვიანი პატიმრობა და გადაყვანილ იქნას მეხუთე საპყრობილეში... განაჩენის გასაჩივრება შეიძლება საოლქო სასამართლოში განაჩენის გამოცხადებიდან 48 საათში.

ჟორდანიას ის დრო გაუხსენეს, როცა თბილისის „დინამოდან" მისი პრეზიდენტობისას, 1996 წლის აპრილიდან 1998-ის ოქტომბრამდე, ვლადიკავკაზის „ალანიაში" ლევან კობიაშვილი, გოგა გახოკიძე და გიორგი დემეტრაძე გაყიდა, კიევის „დინამოში" კი კახა კალაძე. „ალანიას" კობიაშვილის სანაცვლოდ 100 ათასი დოლარი გადაუხდია, გახოკიძის — 200 ათასი, დემეტრაძის — 320 ათასი, კიევის „დინამოს" კალაძის მისაღებად 300 ათასი. კობიაშვილის, გახოკიძისა და კალაძის სანაცვლოდ მიღებული თანხა მთლიანად შვეიცარიის ბანკში ჩარიცხულა, ასევე დემეტრაძის ფულიდან 130 ათასი. შვეიცარიაში გადარიცხული თანხა „დინამოს" ბუღალტერიაში არ გატარებულა.

მოკლედ, მოსამართლე სონღულაშვილი განაჩენს ოც წუთს კითხულობდა, სასამართლომ არ ირწმუნა, რომ გათავისუფლების შემთხვევაში მერაბ ჟორდანია არ მიიმალებოდა და აღმკვეთ ღონისძიებად სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. განაჩენში აღნიშნულია ისიც, რომ დაკავებამდე მერაბ ჟორდანიას სასამართლო უწყება ჩაბარებული ჰქონდა და დასაკითხად არ გამოცხადდა.

მერაბ ჟორდანიას მხარე კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოს განაჩენის საოლქოში გასაჩივრებას დღესვე აპირებს. ადვოკატ როსტიაშვილის თქმით, მოსამართლე სონღულაშვილმა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო. საოლქო სასამართლომ საჩივარი 72 საათში უნდა განიხილოს.

**კობა ინასარიძე**





# ფედერაცია მთავრობაში ჩივილს აპირებს



***გუშინ,*** *გამთენიისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია სამართალდამცავებმა თბილისის აეროპორტში დააკავეს.*

*ეს ფაქტი, შეიძლება ითქვას, თავიდანვე მწიფდებოდა. მაშინ, როცა ჟორდანია გერმანია 2006-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრაზე გახლდათ ფრანკფურტში, სამართალდამცავებმა მასმედიის საშუალებით ამცნეს ქვეყანას, რომ ჟორდანიას საქმეს, როცა ის თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი იყო, ხელახლა მიუბრუნდებოდნენ.*

*მოკლედ, ჟორდანია დააკავეს და დაკითხეს. ფეხბურთის ფედერაციაში კი ყველანი შეცბუნებულნი იყვნენ მომხდარით — სადაცაა, ეროვნული ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელის მოწვევის საკითხი უნდა გადაწყდეს და ფედერაციის პრეზიდენტს აპატიმრებენ.*

*ფედერაციაში ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის წარმომადგენლები მივიდნენ, ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძისადმი და ნაშუადღევს ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტების წინაშეც წარდგნენ — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვეტერანი ფეხბურთელებიდან მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ ელოშვილი და რევაზ არველაძე.*

*ალექსანდრე ჩივაძე:* ფედერაციის თანამშრომლებისთვის უცნობია ის ფაქტი, რომ ვითომ მერაბ ჟორდანია დღეს უცხოეთში წასვლას აპირებდა. ჩვენი ინფორმაციით, ჟორდანია კახი ასათიანის მეუღლესა და შვილიშვილს აეროპორტში აცილებდა. დღეს კახი ასათიანის დაბადების დღეა და მის საფლავზე ჟორდანიასთან ერთად უნდა გავსულიყავით. როცა ფრანკფურტში კენჭისყრაზე ვიყავით, მაშინ გავიგეთ, რომ ძველი საქმე ისევ დაუბრუნდა გამოძიებას, მაგრამ მერაბს საქართველოში არჩამოსვლა აზრადაც არ მოსვლია. მისი დაკავების ფაქტით აღშფოთებულნი ვართ. ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა ზიანს მოუტანს ეს ქართული ფეხბურთის იმიჯს.

— თუ ჟორდანიას არ გაათავისუფლებენ, ვინ უხელმძღვანელებს ფედერაციას?

*ვალერი ჩოლარია:* ასეთ შემთხვევაში ამ საკითხს ფედერაციის აღმასკომი გადაწყვეტს.

— ფიფა-უეფა თუ დაინტერესდნენ ამ ფაქტით?

*ჩოლარია:* უეფადან უკვე დარეკეს ჟორდანიას დაკავების თაობაზე და ვისაუბრეთ. ჩვენი მხრიდან ფიფასაც და უეფასაც დროულად ჩავაყენებთ საქმის კურსში.

— ითქვა, რომ ფედერაციას აქვს სახელმწიფოს დავალიანება...

*ჩოლარია:* გადასახადები წესრიგში გვაქვს, არანაირი პრობლემა ამ მხრივ არ გვქონია.

— თქვენს მიმართვას მხარს ვინ უჭერს?

*ჩივაძე:* ჟორდანია ვიღაცის მიერ დანიშნული ჩინოვნიკი არ არის, ის ყრილობამ, ქართულმა საფეხბურთო ოჯახმა აირჩია ფედერაციის პრეზიდენტად და დარწმუნებული ვარ, ქართული საფეხბურთო ოჯახი ჩვენ გვიჭერს მხარს.

— სამართალდამცავი ორგანოებიდან ფედერაციაში რაიმე დოკუმენტი თუ მოვიდა?

*ჩოლარია:* არა, არანაირი ასეთი დოკუმენტი არ მიგვიღია.

*მურთაზ ხურცილავა:* მერაბ ჟორდანია გამქცევი არასდროს ყოფილა და არც არასდროს გაიქცევა.

— რის გაკეთებას აპირებთ?

*ჩოლარია:* ხელისუფლებასთან შეხვედრა დღესვე გვსურს და ველოდებით, როდის მიგვიღებენ.

*ჩივაძე:* საქართველოში მომხდარი ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები მთელ მსოფლიოში დადებითად შეაფასეს და თუ რა რეზონანსს გამოიწვევს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დაკავება, ალბათ ხვდებით. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

**დავით თავართქილაძე**

# თამაში იყო მრთგვარი



ბაბა მუსას (№10) „ლოკომოტივში" არ უთამაშია და ნაკრებს კი გამოჰკრა ხელი

**უცნაური** მატჩი გაიმართა გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე. უეფას ანტირასისტული პროგრამით საქართველოს კლუბთა და ლეგიონერთა ნაკრებები გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მატჩში მონაწილეობა მიიღო საქართველოს უმაღლეს და პირველ ლიგებში მოთამაშე ორმოცამდე ფეხბურთელმა. „კლუბებს" ვაჟა ჟვანია თავკაცობდა, „ლეგიონერებს" — ლუის ცაკარიასი. შეხვედრა 3:2 მორჩა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. ორი გოლი პენალტით გავიდა, ერთი დილმელაშვილმა შეაგდო, მეორე — ვითომ ლეგიონერმა გონჩაროვმა.

ამ პენალტებიდან მეორის წინ გაძევება იყო. მსაჯმა კახა მესხმა უხეშობისთვის გილაური „გააწითლა", თუმც ორიოდ წუთში დასჯილი მოედანს დაუბრუნდა — აი, ეს იყო გუშინ ყველაზე საინტერესო.

**კობა ინასარიძე**

## ინგლისი

II დივიზიონი. XXI ტური

ბრაიტონი 1:1 პორტ ვეილი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

არმინია 5:0 ოსნაბრიუკი

ფიურტი 3:3 დუისბურგი

ალენი 0:0 ალემანია

ობერჰაუზენი 3:1 ნიურნბერგი

## ბელგია

იუპილერ ლიგა. XVI ტური

ჰეუსდენი 0:0 ლიერსი

შარლერუა 0:1 სტანდარდი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XIV ტური

გიმარაეში 1:1 ფერეირა

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XV ტური

როდა 2:2 ბრედა

II დივიზიონი. XIX ტური

ტელსტარი 1:2 ემენი

ჰერაკლესი 0:2 იგლსი

აპელდორნი 5:0 ვენლო

ექსელსიორი 0:1 ჰელმონდი

ეინდჰოვენი 2:3 სიტარდი

მაასტრიხტი 0:4 გრააფსხაპი

კამბური 3:1 ჰაარლემი

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

საამიროები

მეოთხედფინალი

კანადა 1:2დ.დ.(1:1) *ესპანეთი*

*კოლუმბია* 1:0 საამიროები

იაპონია 1:5 *ბრაზილია*

აშშ 1:2დ.დ.(1:1) *არგენტინა*

# კალენდარი კალანდის წინ

## დაველოდოთ ხეში წყალს და თასს

**ფეხბურთის** ფედერაციაში შექმნილი საგანგებო ვითარების მიუხედავად, პროფლიგის საშეჯიბრო კომიტეტს გუშინ ხელი არ შეშლია მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდრისა და სათასო კენჭისყრის ჩატარებაში.

დათქმულ 12 საათზე ფედერაციაში კლუბების წარმომადგენლები და საშეჯიბრო კომიტეტის წევრები შეიკრიბნენ და დავით ყიფიანის სახელობის თასის მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრაც შედგა.

ფორმატის თანახმად, განითესა 16 გუნდი — 12 უმაღლესლიგელი და ოთხიც პირველი ლიგის მოწინავე. განვმარტოთ, დებულებით ფარმკლუბებს ეკრძალებათ სათასო გათამაშებაში მონაწილეობა, ამის გამო თამაშგარეთ აღმოჩნდა სამი პირველლიგელი — „ოლიმპი", „დინამო 2" და თსუ, შესაბამისად, პირველ ლიგაში მეხუთეადგილოსანი „ამერი" განთესილთა შორის აღმოჩნდა „სამგურალთან", „ქობულეთთან" და „ცხინვალთან" ერთად.

უმაღლესი ლიგის 12 და პირველი ლიგის 13 გუნდს შვიდი რეგიონალლიგელი დაემატა. ისინი წინასწარ ეტაპზე შეირჩნენ. რეგიონალლიგის შვიდიდან ერთი სათასო საგზური ს.კ. „თბილისს" ერგო, რომელსაც უმაღლესლიგელ „თბილისთან" არანაირი კავშირი არა აქვს.

მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები 27-28 თებერვალს გაიმართება, საპასუხო — 1-2 მარტს. 3 მარტს კი მერვედფინალური ეტაპის წილისყრა შედგება. დებულების თანახმად, მატჩების ერთნაირი ანგარიშით დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი დრო და იმოქმედებს „ვერცხლის გოლის" წესი.

**ბაატა ქვანტალიანი**



საქართველოს თასი ბოლოს „დინამოსი" იყო

### დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | — | მილანი წნორი |
| მცხეთა | — | სკ თბილისი |
| სპარტაკი თბილისი | — | პრემა თბილისი |
| სიონი ბოლნისი | — | იბერია ხაშური |
| დინამო თბილისი | — | ვიტ ჯორჯია მცხეთა |
| ცხინვალი | — | ჰერეთი ლაგოდეხი |
| ვიტ ჯორჯია თბილისი | — | ჩიხურა საჩხერე |
| დილა გორი | — | აგაზა თბილისი |
| ამერი თბილისი | — | ურიონი თბილისი |
| ლოკომოტივი თბილისი | — | გორდა რუსთავი |
| ბათუმი | — | ზუგდიდი |
| მერცხალი ოზურგეთი | — | მეტალურგი ზესტაფონი |
| ტორპედო ქუთაისი | — | გურია ლანჩხუთი |
| ქობულეთი | — | ლოკომოტივი 2 სამტრედია |
| კოლხეთი ფოთი | — | დინამო ქუთაისი |
| სამგურალი წყალტუბო | — | ლუკა ბათუმი |

*პირველი მატჩები გაიმართება 27-28 თებერვალს, საპასუხო — 1-2 მარტს*

საქართველოს 15 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

### კალენდარი

#### I–VI ადგილები

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| თბილისი – დილა | დილა – თბილისი |
| ვიტ ჯორჯია – სიონი | სიონი – ვიტ ჯორჯია |
| დინამო – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – დინამო |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| დილა – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – დილა |
| სიონი – დინამო | დინამო – სიონი |
| თბილისი – ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია – თბილისი |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| ვიტ ჯორჯია – დილა | დილა – ვიტ ჯორჯია |
| დინამო – თბილისი | თბილისი – დინამო |
| ლოკომოტივი – სიონი | სიონი – ლოკომოტივი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| დილა – სიონი | სიონი – დილა |
| თბილისი – ლოკომოტივი | ლოკომოტივი – თბილისი |
| ვიტ ჯორჯია – დინამო | დინამო – ვიტ ჯორჯია |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| დინამო– დილა | დილა – დინამო |
| ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია | ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი |
| სიონი – თბილისი | თბილისი – სიონი |

#### VII–XII ადგილები

| პირველი წრე | მეორე წრე |
|---|---|
| **პირველი ტური** | **მეექვსე ტური** |
| ტორპედო – მერცხალი | მერცხალი – ტორპედო |
| ბათუმი - სპარტაკი | სპარტაკი - ბათუმი |
| მცხეთა – კოლხეთი | კოლხეთი – მცხეთა |
| **მეორე ტური** | **მეშვიდე ტური** |
| მერცხალი – კოლხეთი | კოლხეთი – მერცხალი |
| სპარტაკი – მცხეთა | მცხეთა – სპარტაკი |
| ტორპედო – ბათუმი | ბათუმი – ტორპედო |
| **მესამე ტური** | **მერვე ტური** |
| ბათუმი – მერცხალი | მერცხალი – ბათუმი |
| მცხეთა – ტორპედო | ტორპედო – მცხეთა |
| კოლხეთი – სპარტაკი | სპარტაკი – კოლხეთი |
| **მეოთხე ტური** | **მეცხრე ტური** |
| მერცხალი – სპარტაკი | სპარტაკი – მერცხალი |
| ტორპედო – კოლხეთი | კოლხეთი – ტორპედო |
| ბათუმი – მცხეთა | მცხეთა – ბათუმი |
| **მეხუთე ტური** | **მეათე ტური** |
| მცხეთა – მერცხალი | მერცხალი – მცხეთა |
| კოლხეთი – ბათუმი | ბათუმი – კოლხეთი |
| სპარტაკი – ტორპედო | ტორპედო – სპარტაკი |

*პირველი ტურის მატჩები გაიმართება 18-19 მარტს, დანარჩენი ტურების თარიღები კი ერთ კვირაში გაირკვევა*

# საეტაპო საქმენი

## პორტუგალიაში პროფლიგასთან და კოკა-კოლასთან ერთად

*სათასო წილისყრის შემდეგ საქართველოს პროფესიულ საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ ამ ორგანიზაციის გენერალურ სპონსორ „კოკა-კოლას" წარმომადგენელთან ერთად პრესკონფერენცია გამართა*

*დიმიტრი რამიშვილი: პროფლიგის პრეზიდენტი:* მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი პროფლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ ერთობლივად ჩავატარეთ. ამით პროფლიგამ პირველი ნაბიჯები გადადგა და ამ ეტაპს დადებითად ვაფასებთ. ჩემპიონატის მეორე ეტაპს კი უშუალოდ პროფესიული ლიგა ჩაატარებს. მსურს, მადლობა მოვახსენო ჩვენს სპონსორებს, რომლებმაც ყველაფერ ამაში დიდი წვლილი დაიდეს.

... პირველი ეტაპი ერთობ დაძაბულად წარიმართა, ზეექვსეულში შესასვლელად რვა გუნდი იბრძოდა. იყო ხარვეზებით, რომლის გამოსასწორებლად ვიბრძვით კიდეც. სერიოზული მუშაობა ჩავატარეთ სამსაჯო კომიტეტთან. ვმუშაობთ ჩემპიონატის დებულების დასახვეწადაც. გამოვავლინეთ ათი საუკეთესო მსაჯი, რომლებსაც ჩვენი გენერალური სპონსორი „კოკა-კოლა" ეკიპირებით დაასაჩუქრებს, ვფიქრობთ, ეს სტიმული იქნება მსაჯებისთვის. „კოკა-კოლამ" თავის თავზე აიღო ბავშვთა ლიგის და მსაჯების დაფინანსება.

... ინტენსიური მუშაობა გრძელდება ჩვენს სხვა სპონსორებთანაც — „საქართველოს ბანკთან", სადაზღვევო კომპანია BCI-სთან, რომელთანაც იმ მიმართულებით ვმუშაობთ, რომ 220 ფეხბურთელის გარდა მსაჯებიც დააზღვიონ. მოკლედ, ნებისმიერ ჩვენს სპონსორთან ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ. პროფლიგის თანამშრომლები ჩვენს ერთ-ერთ სპონსორ „ჯეოსელის" ქსელში შეღავათებით სარგებლობენ.

*ანატოლი მილჩენკო: სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი:* ხანდახან მსაჯები საფრთხის წინაშე არიან. უეფას რჩევით, ეროვნულმა ასოციაციამ უნდა იზრუნოს მსაჯებსა და გუნდების მწვრთნელებს, ოფიციალურ პირებსა და ფეხბურთელებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებისთვის — ეს უეფას მიერ დადგენილი კრიტერიუმებით უნდა მოხდეს. პროფლიგის შემწეობით მსაჯები სეზონის განახლების წინ შეკრებას გაივლიან. მსაჯები მხოლოდ ფიზიკურად კი არა, ფსიქოლოგიურადაც უნდა მოვამზადოთ.

*გიორგი რობაქიძე: „კოკა-კოლას" მარკეტინგის განყოფილების უფროსი:* „კოკა-კოლა" საქართველოში 1995 წლიდან ცდილობდა ფეხბურთში მუშაობას, მაშინ პირველი ნაბიჯები ბავშვთა ფეხბურთში გადავდგით. „კოკა-კოლას" ურთიერთობა ფეხბურთთან საყოველთაოდაა ცნობილი და „კოკა-კოლა" ქართული ფეხბურთის განუყრელი მეგობარი და მხარდამჭერი უნდა იყოს, ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. დაგეგმილია სიახლეც — გვსურს, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზური გავათამაშოთ, პორტუგალიაში რომ ჩატარდება და ახლა იმაზე ვმუშაობთ, ზუსტად როგორი ფორმით მოხდება ეს.

*რამიშვილი:* რაც შეეხება მერაბ ჟორდანიას დაკავების ფაქტს, მივმართავთ ქვეყნის ხელისუფლებას თხოვნით, რათა დაინტერესდეს ამ ფაქტით. ჩემი აზრით, ჟორდანიას დაკავება ზედმეტი იყო, ხომ შესაძლებელი იყო მისი დაბარება, თანაც ეს მაშინ ხდება, როცა მოლაპარაკებები მიმდინარეობს უცხოელ მწვრთნელებთან ეროვნული ნაკრებისთვის და ეს საკითხი გადაწყვეტის სტადიაშია.



დიმიტრი რამიშვილი და გიორგი რობაქიძე

**დავით თავართქილაძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 1 შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# უკრაინისთვის სხვები ჯოჯოხეთია, საქართველო კი სტატისტიკა

### უკრაინა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრას ყოველთვის მოსდევს ლოგიკური პროცესი — კომენტარები, კამათი, მსჯელობა ამა თუ იმ გუნდის შანსზე, პერსპექტივაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს, ფავორიტ თანაჯგუფელთაგან განსხვავებით, საგერმანიოდ მოკრძალებული შანსი აქვს, აზრთა სხვადასხვაობა ჩვენშიაც არის. მსჯელობის თემა ძირითადად ესაა — რთული ჯგუფი შეგვხვდა თუ ხელსაყრელი. ამ მხრივ გაცილებით „მაღალ მატერიებზე“ საუბრობენ იმ ქვეყნებში, მათ გუნდებს ჩვენს ქვეჯგუფში წარმატების რეალური შანსი და ამბიციები რომ აქვთ.

ფრანკფურტული კენჭისყრის დასრულებისთანავე სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უკრაინელ ჟურნალისტებს უთხრა: „ჩვენს ჯგუფში ყველაზე ძლიერი მეტოქე უკრაინაა“. სფფ-ის თავკაცმა ალბათ ეთიკეტს არ უღალატა. ფაქტი კი ისაა, რომ ჟორდანიას ნათქვამი ლამის ყველა უკრაინულ გაზეთში მოხვდა, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ ჟორდანიას მოსაზრებას ეთანხმებიან. უკრაინა სულაც არ თვლის თავს ჯგუფის ფავორიტად. „ჩვენ ჯოჯოხეთში მოვხვდით — წერს იქაური გაზეთი „კომანდა“ — საბერძნეთი, დანია და თურქეთი — ეს საშინელებაა. ჩვენს გუნდს ცეცხლოვანი გზის დაძლევა მოუწევს, 2005 წლის 10 დეკემბერს ლაიპციგურ კენჭისყრაზე ერთ-ერთ ბურთულაში უკრაინა რომ ეწეროს“. ასეთია „კომანდას“ აზრი და ამ მოსაზრებას სხვა გაზეთებიც იზიარებენ. უკრაინულ მედიაში ყველაფერს ნახავთ დანიურ, ბერძნულ და თურქულ ფეხბურთზე, მაგრამ თითქმის ვერაფერს საქართველოს ნაკრებზე. არის მხოლოდ მშრალი სტატისტიკა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 1990 წელს, ფიფა-უეფაში ორი წლის შემდეგ გაწევრიანდა და რამდენიმე ქართველი ლეგიონერი ევროპის წამყვან საფეხბურთო ჩემპიონატებში თამაშობს. ამის საკომპენსაციოდ უკრაინელები ბევრს წერენ კახა კალაძეზე, უკრაინაში დალვინებულ და ანდრეი შევჩენკოს მხარდამხარ ჩამოყალიბებულ ნიჭიერ ფეხბურთელზე.

ოფიციალურ კომენტარებში საქართველოს ნაკრები გაკვრითაც არ უხსენებიათ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გრიგორი სურკისს და ნაკრების თავკაც ოლეგ ბლოხინს.

კენჭისყრა ბრმაა და ახლა სიხარულის ან წუხილის დრო არ არის. ჯგუფში საბერძნეთი, დანია და თურქეთი ჩაგვიჯდა, ამათი ძლევა კი ყველამ ერთად უნდა მოვინდომოთ უკრაინის საკეთილდღეოდ, თქვა გრიგორი სურკისმა.

ოლეგ ბლოხინი კი გამორჩევით ბერძნებს უფრთხის, კარგი იქნებოდა, ეგენი არ შეგვხვედროდნენო. ჩვენ რთული გზა გვაქვს დასაძლევი და იმედი მაქვს, ერთსულოვნებით ყველა სიძნელეს გადავლახავთო, ამბობს ბლოხინი.

მოკლედ, უკრაინა ჯერჯერობით ღირსეულ მეტოქედ არ გვთვლის, ჩვენთვის კი, რაღა საკვირველია, ამ ქვეყნის ნაკრები ერთ-ერთი სოლიდური მეტოქეა, რომელიც ბევრი რამით აღემატება „შინდისფერებს“ და ამაში მარტო საფეხბურთო კომპონენტებს არ ვგულისხმობთ. უკრაინელებმა ფრანკფურტული კენჭისყრისას ოფიციალური ნაწილის გარდა თავიანთი ნაკრების სარგო გეგმებზეც იზრუნეს. თავად განსაჯეთ, სწორედ ფრანკფურტში გაურიგდა სურკისი ევროპის ჩემპიონ ფრანგებს ამხანაგურ მატჩზე და საკონტროლოდ სათამაშოდ რუსეთიც შეიპირა, იქამდე უკრაინელებს დაგეგმილი ჰქონდათ 31 მარტს მაკედონიასთან და 28 აპრილს სლოვაკეთთან შეხვედრა. ამას დაუმატეთ აფრიკულ-აზიური ტურნეც, რომელსაც თებერვლის შუა რიცხვებში გამართავენ და ტუნისს, იორდანიასა და ირანს შეხვდებიან. ამის გარდა, ბლოხინის გუნდი გაზაფხულზე ლობანოვსკის სახელობის კიევურ ტურნირშიც ითამაშებს. მოკლედ, უკრაინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას სპარინგ-გეგმა ჩამოწიკწიკებული აქვს. ბოლოს ის ვიკითხოთ, რა პერსპექტივა აქვს ამ მხრივ ჩვენს ნაკრებს? ჯერჯერობით არანაირი. ჰა და ჰა, მერე აზერბაიჯანთან არაფრისმომტანი ამხანაგობა იყოს.

არა, უკრაინა მართლაც ძალიან ძლიერი ნაკრებია... საქართველოსთვის.

**პაატა ქვანტალიანი**



გრიგორი სურკისი



ოლეგ ბლოხინი



უკრაინულ-ბერძნული ევროშესარჩევი ბრძოლის ერთი ეპიზოდი: ანდრეი შევჩენკომ პანაიოტის ფისასს (№3) და ტრაიანოს დელასს (№6) გაუარა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ დოლიძე და გიორგი დევდარიანი

# თბილისური ამბავი

## გაგვაკეთოთ საქმე და საქმე გაგვაკეთებს ჩვენ

*მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის აღმოჩენა უდავოდ „თბილისია“. ერთი წლის წინ „მერანთან“ შეამხანაგებული კლუბი მალე დამოუკიდებელი გახდა და საუმაღლესლიგო აღმართს შეუყვა. „თბილისი“ დიდ ხანს მოუნდა დაწყობა-დალაგებას, სასურველ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა ძიებას. ეს პროცესი ჩემპიონატის პარალელურად მიმდინარეობდა და გუნდის სატურნირო ვითარება არცთუ სახარბიელო იყო, მაგრამ სასელექციო საქმიანობის დასრულებას ნელ-ნელა შედეგიც მოჰყვა, ამას ახალგაზრდა გიორგი დევდარიანის გამწვრთნელობაც დაერთო და „თბილისი“ მოგებებს გაუშინაურდა. შედეგი ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა – გუნდი ზეექვსეულში მოხვდა.*

*გუშინ თბილისელებმა პრესკონფერენცია გამართეს, ჟურნალისტებს კლუბის პრეზიდენტი ნიკოლოზ დოლიძე და მწვრთნელი გიორგი დევდარიანი შეხვდნენ*

*ნიკოლოზ დოლიძე:* ჩემპიონატის დაწყებიდან ჟურნალისტების და გულშემატკივრების მხრიდან დიდ მხარდაჭერას და თანადგომას ვგრძნობდით, ამიტომაც თავი ვალდებულად ჩავთვალეთ, მათთვის ერთგვარი ანგარიში ჩაგვებარებინა. კლუბის დაარსების დღიდან ჩვენი მიზანი იყო ისეთი გუნდის შექმნა, რომელსაც თავისი სახე, სხვათაგან გამორჩეული ხელწერა ექნებოდა. ვფიქრობ, ეს საქმე შესრულებულია, ამის საფუძველს გუნდის თამაში მაძლევს. მიხარია, რომ ახალგაზრდული „თბილისი“ მზარდი გუნდია. ჩვენი მიზანი ევროპულ მასშტაბებთან გათანაბრებაა და იმედი მაქვს, ამასაც მივაღწევთ.

...დაარსების დღიდან გვქონდა ბევრი პრობლემა, სასურველი კონტინგენტი იყო შემოსაკრები. ხანგრძლივი და რთული გამოდგა სასელექციო პროცესი. გაგვიჭირდა სასურველი მწვრთნელის მოძიება, მაგრამ ბოლოს ყველაფერი წარმატებით დასრულდა და შედეგიც მოვიდა, რომელიც მხოლოდ გიორგი დევდარიანის დამსახურება არ გახლავთ. ჩვენ მისი წინამორბედების ღვაწლსაც ვაფასებთ, რადგან მათ ჩემპიონატის პარალელურად უხდებოდათ სელექციის ჩატარება და „თბილისის“ აღმასვლას საფუძველი სწორედ იმ დროიდან ჩაეყარა.

...მიხარია, რომ ჩვენს გუნდს გიორგი დევდარიანი წვრთნის, მის მოსვლას დიდი ეფექტი მოჰყვა, რაკილა კარგი ფსიქოლოგი და სპეციალისტი აღმოჩნდა. მისი სახით საქართველოს ნიჭიერი და მცოდნე მწვრთნელი ჰყავს.

*გიორგი დევდარიანი:* ჟურნალისტების თანადგომა ჩემთვის დიდი სტიმული იყო. გარანტიას გაძლევთ, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საქმის სწორად კეთებით გავამართლო თქვენს მიერ გაცემული ავანსი.

...ჩვენს გუნდში სხვანაირი სული ტრიალებს. და ეს თემურ უგულავას, მამუკა გუგეშაშვილის და ნიკოლოზ დოლიძის დამსახურებაა. მათი ძალისხმევით დაიწყო ახალი კლუბის მშენებლობა და მჯერა, ნალვაწი უთუოდ დაუფასდებათ.

...ჩვენთვის ექვსეულში, თუნდაც სამეულში მოხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. მოწინავეთა შორის ყოფნა იმ თვალსაზრისით იყო საჭირო, რათა უფრო მაღალ დონეზე გვეთამაშა, ამას გუნდის წინსვლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. იქიდან გამომდინარე, რომ ევროსარბიელზე გვინდა ძალის გამოცდა, სამეულისთვის ვიბრძოლებთ.

...სეზონის მანძილზე ბევრ ახალგაზრდას მივეცით თავის გამოჩენის საშუალება და მათაც გაამართლეს. ფაქტობრივად, ჩამოწერილნი იყვნენ ლოლაძე და ოდიკაძე, მაგრამ დღეს ისინი ერთ-ერთი საუკეთესონი არიან თავ-თავიანთ პოზიციაზე. გაამართლა კვარაცხელიას უკან დაწევამაც, გივიმ მართლაც დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს წარმატებაში.

...ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. მათ უმრავლესობას ვიცნობდი. გვერდში დამიდგნენ გამოცდილი ვეტერანებიც და საქმეც აეწყო. მსურდა, ყველას უფრო მეტი მონდომებით და პასუხისმგებლობით ეკეთებინა საქმე. მე ფეხბურთელებს ვთხოვდი, ფეხბურთელები თავის თავს და ყველაფერმა ამან ჩვენ შორის კარგი დამოკიდებულება და, რაც მთავარია, კარგი შედეგი მოიტანა.

**პაატა ქვანტალიანი**



# 2003 წლის საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი

ხვალ. იოკოჰამა. ინტერნეიშენალ სთედიუმი. მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

## მილანი (იტალია)

დაარსდა 1899 წლის 16 დეკემბერს
პრეზიდენტი: სილვიო ბერლუსკონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
კაპიტანი: პაოლო მალდინი
სტადიონი: „სან სირო“ (ტევადობა 85 700)
ფორმა: შავ-წითელი მაისური, თეთრი ტრუსი, თეთრი გეტრები

ტიტულები

იტალიის ჩემპიონი (16): 1901, 06, 07, 51, 55, 57, 59, 62, 68, 79, 88, 92, 93, 94, 96, 99
იტალიის თასის მფლობელი (5): 1967, 72, 73, 77, 2003
იტალიის სუპერთასის მფლობელი (4): 1988, 92, 93, 94
ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (6): 1963, 69, 89, 90, 94, 2003
ევროპის თასების თასის მფლობელი (2): 1968, 73
ევროპის სუპერთასის მფლობელი (4): 1989, 90, 94, 2003
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (3): 1969, 89, 90

VS

## ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

დაარსდა 1905 წლის 3 აპრილს
პრეზიდენტი: მაურისიო მაკრი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
კაპიტანი: დიეგო კანია
სტადიონი: „ლა ბომბონერა“ (ტევადობა 57 395)
ფორმა: ლურჯ-ყვითელი მაისური, ლურჯი ტრუსი, ლურჯი გეტრები

ტიტულები

არგენტინის ჩემპიონი (23): 1919, 20, 23, 24, 26, 30, 31, 34, 35, 40, 43, 44, 54, 62, 64, 65, 76, 81, 92, 98, 99, 2000, 2003
არგენტინის თასის მფლობელი (3): 1969, 70, 76
ლიბერტადორესის თასის მფლობელი (5): 1977, 78, 2000, 2001, 2003
რეკოპას თასის მფლობელი (1): 1989
სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელი (1): 1989
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (2): 1977, 2000



კარლო ანჩელოტი

*არგენტინიდან 38 საათიანი მგზავრობის შემდეგ „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ განაცხადა, რომ „მილანის“ სიმდიდრისა და სიძლიერის მიუხედავად, გამარჯვებით მისი გუნდი გაიმარჯვებს და საკონტინენტთაშორისო თასიც მისი გახდება*



კარლოს ბიანკი

# ბიანკიმ ბანკში მილანი გადარიცხა

54 წლის ბიანკიმ ერთი კვირის წინ „ბოკას“ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ეს „ბოკასთვის“ 23-ე ჩემპიონობა გახლდათ. რაც შეეხება სამხრეთ ამერიკის „ლიბერტადორესის თასს“, რომლის გამარჯვებულიც ყოველწლიურად საკონტინენტთაშორისო თასზე გამოდის, იგი ბიანკის გუნდმა ივლისში მოიგო. ფინალში მისი მეტოქე ბრაზილიური „სანტოსი“ გახლდათ, ორი შეხვედრის ჯამში არგენტინულმა გუნდმა 5:1 გაიმარჯვა.

„მილანი“ ძლიერი გუნდია — თქვა მწვრთნელმა — ნებისმიერ რგოლში მას სანაკრებო დონეზე დიდად გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და ჩვენთან იტალიური სტილის ფეხბურთს ითამაშებს, დაცვაში მკაცრს, შეტევაში კი სახიფათოს. მაგრამ „ბოკაშიც“ დიდებული ფეხბურთელები თამაშობენ, რომელთაც თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება და „მილანის“ დამარცხება ხელეწიფებათ“.

საგულისხმოა, რომ არგენტინის ჩემპიონი ბოლო ოთხ წელიწადში საკონტინენტთაშორისო თასზე სათამაშოდ მესამედ ჩადის იაპონიაში. 2000 წელს მან „რეალს“ მოუგო 2:1, ხოლო შემდეგ წელიწადს მიუნხენის „ბაიერნთან“ 0:1 წააგო.



ანდრეი შევჩენკო

ხოლო საულ, ეს „ბოკას“ მეოთხე ცდაა. პირველად, 1977 წელს, ბუენოსაირესელებმა მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მოუგეს, „ბორუსია“ კი „ლივერპულის“ მაგივრად ჩავიდა სათამაშოდ. მაშინ „ლივერპულმა“ უარი თქვა.

„ეს მატჩი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი მოტივაცია საჭირო არ არის. ათასობით კილომეტრს ყასიდად არავინ გადაიფრენს“ — განაცხადა ბიანკიმ, რომელიც 1994 წელს „ველეს სარსფილდის“ მწვრთნელი იყო და მისმა გაწვრთნილმა გუნდმა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში სწორედ „მილანს“ მოუგო. ასე რომ, „შავ-წითლების“ დამარცხების გამოცდილება აქვს — „ჩემმა მოთამაშეებმა იციან, რომ მათ მეტოქის დამარცხება შეუძლიათ. მათ იციან თავიანთი საქმე და მწამს, რომ შედეგსაც ჩვენს სასარგებლოს მივიღებთ“.

ბიანკიმ აგრეთვე განაცხადა, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელმა, კარლოს ტევესმა, რომლის გარშემოც ერთი ამბავი იყო ატეხილი, რადგან 20-წლამდელთა ნაკრებში წასვლაზე უარი განაცხადა, ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა და მისი თამაში საეჭვოა.

ამასობაში, „მილანის მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ მისი გუნდი თასის მოსაგებად სულაც არ არის „ბოკაზე“ ნაკლებად მოწადინებული:

„რა თქმა უნდა, ეს მატჩი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემპიონთა თასის მფლობელობა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულია და მისი მოპოვება, ბუნებრივია, ყველას ძალიან უნდა.“

„მილანისთვის“ ეს მეშვიდე ფინალია. „შავ-წითლებმა“ მოიგეს 1969, 1989 და 1990 წლებში, ხოლო 1963, 1993 და 1994 წლებში დამარცხდნენ.

„ყველაფერზე მნიშვნელოვანი თავდადებაა — დასძინა „მილანის“ უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ — მატჩისთვის ძალიან კარგად მოვემზადეთ და ვფიქრობ, მსოფლიო დონის ჯილდოს მოსაპოვებლად საუცხოო მომენტი ჩავივარდა“.



კარლოს ტევესი

საკონტინენტთაშორისო მატჩს მეხუთედ ითამაშებს „მილანის“ დიდი კაპიტანი პაოლო მალდინი, რაც რეკორდი გახლავთ, ხოლო ზოგადად, სამხრეთამერიკელთა და ევროპელთა ბალანსი 21:20-ია ამერიკელთა სასარგებლოდ.

მაგრამ იმისთვის, რომ ევროპელებმა ანგარიში გაათანაბრონ, საჭიროა „მილანმა“ საუკეთესო შემადგენლობით ითამაშოს, რაც საეჭვოა, რადგან ალესანდრო ნესტასა და ფილიპო ინძაგის პრობლემები აქვთ.

ანჩელოტი: „სულაც არ გამოვრიცხავთ, რომ ინძაგი და ნესტა ითამაშებენ. უბრალოდ, ყველაფერი მკურნალობასა და მათ ორგანიზმზე დამოკიდებული“.

**პაპუნა კედია**

## მილანი

| | | | |
|---|---|---|---|
| | მეკარეები | | |
| 1 | ვალერიო ფიორი | 27.04.69 | 185/75 |
| 12 | ნელსონ დიდა | 07.10.73 | 195/85 |
| 77 | კრისტიან აბიატი | 08.07.77 | 191/92 |
| | მცველები | | |
| 2 | მარკოს კაფუ | 07.06.70 | 176/75 |
| 3 | პაოლო მალდინი | 26.06.68 | 186/85 |
| 4 | კახა კალაძე | 27.02.78 | 186/78 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | 19.03.76 | 187/79 |
| 14 | დარიო შიმიჩი | 12.11.75 | 180/76 |
| 19 | ალესანდრო კოსტაკურტა | 24.04.66 | 182/75 |
| 24 | მარტინ ლაურსენი | 26.07.77 | 188/79 |
| 26 | ჯუზეპე პანკარო | 26.08.71 | 186/84 |
| | ნახევარმცველები | | |
| 5 | ფერნანდო რედონდო | 06.06.69 | 186/75 |
| 8 | ჯენარო გატუზო | 09.01.78 | 177/77 |
| 10 | მანუელ რუი კოშტა | 29.03.72 | 180/74 |
| 20 | კლარენს ზეედორფი | 01.04.76 | 176/76 |
| 21 | ანდრეა პირლო | 19.05.79 | 177/68 |
| 22 | რიკარდო კაკა | 22.04.82 | 186/73 |
| 23 | მასიმო ამბროზინი | 29.05.77 | 182/72 |
| 27 | კლაუდიო სერჟინიო | 27.06.71 | 181/75 |
| 32 | კრისტიან ბროკი | 30.01.76 | 171/70 |
| | თავდამსხმელები | | |
| 7 | ანდრეი შევჩენკო | 29.09.76 | 183/72 |
| 9 | ფილიპო ინძაგი | 09.08.73 | 181/74 |
| 15 | იონ დალ ტომასონი | 29.08.76 | 182/74 |
| 18 | მარკო ბორიელო | 18.06.82 | 180/73 |

## ბოკა ხუნიორსი

| | | | |
|---|---|---|---|
| | მეკარეები | | |
| 1 | რობერტო აბონდანსიერი | 19.08.72 | 186/88 |
| 12 | ვილფრედო კაბალიერო | 28.09.81 | 186/81 |
| | მცველები | | |
| 2 | როლანდო სკიავი | 18.01.73 | 191/88 |
| 3 | ხუან როდრიგესი | 31.07.81 | 167/65 |
| 4 | პაბლო ხერესი | 26.07.83 | 174/72 |
| 6 | ნიკოლას ბურდისო | 12.04.81 | 182/81 |
| 13 | დიეგო კროზა | 13.04.76 | 180/81 |
| 14 | ლუის პერეა | 30.01.79 | 181/73 |
| 15 | ხოსე მარია კალვო | 15.07.81 | 175/73 |
| | ნახევარმცველები | | |
| 5 | სებასტიან ბატალია | 08.11.80 | 180/75 |
| 8 | დიეგო კანია | 19.04.70 | 182/75 |
| 16 | ფაბიან ვარგასი | 17.04.80 | 178/70 |
| 18 | მატიას დონეტი | 18.04.80 | 172/68 |
| 20 | ხავიერ ვილიარეალი | 01.03.79 | 172/72 |
| 22 | რაულ კასკინი | 07.04.71 | 172/74 |
| 24 | მიგელ კანეო | 17.08.83 | 182/72 |
| | თავდამსხმელები | | |
| 7 | გილერმო ბაროს შელოტო | 04.05.73 | 170/71 |
| 9 | კარლოს ტევესი | 05.02.84 | 169/73 |
| 10 | პედრო იარლეი | 29.03.74 | 169/71 |
| 11 | რობერტო კოლაუტი | 24.05.82 | 179/76 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. 1/8 ფინალის წილისყრა

დაუწერელ კანონად იქცა: როგორც საქართველო და ალბანეთი ვერ უნდა ასცდნენ ერთმანეთს, ისე „რეალი“ და „ბაიერნი“ აუცილებლად უნდა გადაეყარონ ერთურთის ჩემპიონთა ლიგაში.

გუშინდელ წილისყრაზე მოგახსენებთ, რომელზეც თექვსმეტი გუნდი რვა-რვაზე გაიყო და, ახალი წესის თანახმად, მეორე ჯგუფური ეტაპის გამოტოვებით პირდაპირ პლეი ოფში გააგრძელებენ ბრძოლას.

წილისყრის შედეგების გარჩევა „რეალსა“ და „ბაიერნის“ შებმით დავიწყეთ, რაკი ამაზე გამოსარჩევი წყვილი არც ერთია. თუმცა სხვებზე სათქმელი არაფერიაო, ვერც ამას ვიტყვით. თუნდაც „შტუტგარტი“ — „ჩელსი“, ბუნდესლიგისა და პრემიერლიგის ლიდერები. ისე, ლიდერობას შევეშვათ და გერმანულ-ინგლისური დაპირისპირება რასაც ნიშნავს, არ გესწავლებათ და თან ინტრიგა ამით არ მთავრდება. „ჩელსი“ არ იყო, 1998 წელს თასების მფლობელთა თასი „შტუტგარტს“ რომ აართვა? ან „პორტუ“ და „მანჩესტერი“, ჩემპიონთა თასის ორი ოდინდელი მფლობელი. და საერთოდ, ლიგაში პლეი ოფზე რომ მიდგება საქმე, ძლიერებზე, სუსტებზე, საინტერესოსა და უინტერესოზე ლაპარაკი მთლად სწორი არ უნდა იყოს. ეს ყველაფერი პირობითობად იქცევა-ხოლმე.

და ქართველები — კახა კალაძე და „მილანი“ პრაღაში ჩადიან, მიხეილ აშვეთიას და მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი“ კი დიდიე დეშანის „მონაკოს“ გაეჯიბრებიან.

მოკლედ, წილი ნაყარია. ვიღაცა შედეგით კმაყოფილია, ვიღაცა უკმაყოფილოა, ვიღაცისთვის კი სულაც სულ ერთი იყო ვინ შეხვდებოდა. ახლა აღარც წუწუნს აქვს აზრი და კმაყოფილებისგან ხელების ფშვნეტაც ზედმეტია. ყველა, კმაყოფილიც და უკმაყოფილოც თებერვლისთვის იწყებს მზადებას. თუმცა იმის გაგება კი საინტერესოა, ვინ კმაყოფილი დარჩა და ვინ, უკმაყოფილო

**პირველი მატჩები. 24.02.2004**
**საპასუხო მატჩები. 10.03.2004**

სპარტა (ჩეხეთი) – მილანი (იტალია)
სელტა (ესპანეთი) – არსენალი (ინგლისი)
ლოკომოტივი (რუსეთი) – მონაკო (საფრანგეთი)
ბაიერნი (გერმანია) – რეალი (ესპანეთი)

**პირველი მატჩები. 25.02.2004**
**საპასუხო მატჩები. 09.03.2004**

დეპორტივო (ესპანეთი) – იუვენტუსი (იტალია)
პორტუ (პორტუგალია) – მანჩესტერი (ინგლისი)
შტუტგარტი (გერმანია) – ჩელსი (ინგლისი)
სოსიედადი (ესპანეთი) – ლიონი (საფრანგეთი)

# რეალმა და ბაიერნმა ჯვარი დაიწერეს?!




## ბაიერნი – რეალი

გუშინწინ „ბაიერნის“ და „ანდერლეხტის“ მატჩის მიმოხილვაში ვწერდით: „ახლა გერმანელებს ალბათ ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მომდევნო ეტაპზე სავარაუდოდ ძალიან ძლიერი მეტოქე ერგებათ.“ ისე ყველაფერი აგიხდეთ.

ვარაუდი ჩვენ კი არა, თავად გერმანელებსაც აუხდათ. წილისყრის მერე „ბაიერნის“ მდივანმა კარლ ჰოფნერმა თქვა: „ნიონში რომ მოვდიოდით, გზაში იმაზე ვფიქრობდით, რომ შესაძლოა „რეალს“ შევხვედროდით. და, აი, ეს ახდა, ძველი მეგობრები ისევ ერთმანეთის წინაალმდეგ ვითამაშებთ. ახლა ამბობენ, რომ „რეალი“ ჩვენზე ძლიერია, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ წინ ზამთრის არდადეგები გველის. გარწმუნებთ, რომ ორი თვის მერე „ბაიერნი“ გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი იქნება და „რეალის“ დამარცხებასაც შეძლებს.“

ოტმარ ჰიცფელდი, „ბაიერნის“ მწვრთნელი: „ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვხვდებით, რომელსაც მთელი მსოფლიოს საუკეთესო ვარსკვლავები ჰყავს შეკრებილი. დიდი დაპირისპირება გველის.“

ოლივერ კანი, „ბაიერნის“ მეკარე: „მე კმაყოფილი ვარ. დასაკარგი არაფერი გვაქვს.“

ესპანელთა სპორტული დირექტორის თანაშემწე ემილიო ბუტრაგენიომ კი თქვა: „სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ დღეს „ბაიერნი“ ჩვენზე სუსტია. ასეთ შეხვედრებში, ასეთი დონის გუნდების ძლიერებად და სუსტებად დაყოფა არ შეიძლება. ჩვენ ვიცით, რასაც ნიშნავს „რეალისთვის“ „ბაიერნთან“ თამაში და მათაც იციან, რას ნიშნავს „ბაიერნისთვის“ „რეალის“ მეტოქეობა. ჩვენი წყვილი დანარჩენ შვიდზე ძლიერია და ჩვენი მატჩები უთუოდ ისტორიაში შევა.“

მაშ ასე, ლიგის მერვედფინალში ჩემპიონთა თასის ექვსმა მომგებმა გაალწია, წილისყრამ მათგან ოთხი ერთმანეთს შეჰყარა. მათგან გამორჩეული „რეალი“ — „ბაიერნია“. ბოლო წლებში ლიგა ხომ მათი დაპირისპირების გარეშე წარმოუდგენელია.

## სპარტა – მილანი

ჩემპიონთა თასის ბოლო მფლობელი იოკოჰამაშია და „ბოკა ხუნიორსთან“ საპაექროდ ემზადება, „სპარტასთან“ საგაისო პაექრობაზე კი „მილანის“ პრეს-მდივანმა ალესანდრო სპანიოლომ ილაპარაკა: „კმაყოფილები ვართ, მშვენიერი წილისყრა იყო. გუნდისთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც პრაღა გასასეირნებლად მშვენიერი ადგილია.“

## სელტა – არსენალი

თუ გავითვალისწინებთ, რომ „სელტა“ პრიმერადივიზიონში ძალიან ცუდად თამაშობს და მერვედფინალშიც მხოლოდ იმიტომ გავიდა, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „მილანს“ ქულები აღარ სჭირდებოდა და მეორე შემადგენლობით ითამაშა, „არსენალს“ საქმე საწუწუნოდ არ უნდა ჰქონდეს.

„ამ ეტაპზე სუსტი გუნდები არ არსებობენ — მაინც დიპლომატიურად თქვა ლონდონელთა ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინმა — მაგრამ, „არსენალი“ ამბიციური გუნდია. ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ვითვლებოდეთ და აქედან გამომდინარე, ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად და მოსაგებად მზად ვართ.“

## პორტუ – მანჩესტერი

ჩემპიონთა თასის კიდევ ორი მომგები გუნდი. 1987 წლის ჩემპიონი „პორტუ“ და 1999 წლის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“.

კენ მერეტი, „მანჩესტერის“ მდივანი: „როგორ გითხრათ, „პორტუ“ სუსტი მეტოქე არ არის და მეოთხედფინალში იოლად ვერ გავალთ. მაგრამ მეორე მხრივ, უფრო ძლიერი მეტოქეც შეიძლებოდა გვრგებოდა და ამიტომ წილისყრის შედეგით კმაყოფილები ვართ.“

## შტუტგარტი – ჩელსი

მოგეხსენებათ, რასაც ნიშნავს გერმანულ-ინგლისური დაპირისპირება, მით უმეტეს, როცა „ჩელსის“ და „შტუტგარტს“ ძველი პირადი ანგარიშიც აქვთ გასასწორებელი. 1998 წელს თასების მფლობელთა თასის ფინალში ხომ „ჩელსიმ“ სწორედ „შტუტგარტი“ დაამარცხა.

პოლ სმიტი, „ჩელსის“ აღმასრულებელი თავმჯდომარე: „წინასწარვე ვიცოდით, რომ „რეალს“, „მილანს“ და „იუვენტუსს“ ავცდებოდით, თუმცა არც მათი გვეშინოდა და მით უმეტეს, არც დანარჩენების. მათ შორის, არც „შტუტგარტის“. ჩვენ კითხვას ასე ვსვამთ: ვინ არის შემდეგი?“

გერმანელთა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმ კი საპასუხო კითხვა დასვა: „ჩელსის“ დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ ვინ თქვა, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია?“




## უეფას თასი 2003-2004. 1/16 ფინალის წილისყრა

| | | |
|---|---|---|
| ბრონდბიუ (დანია) | — | ბარსელონა (ესპანეთი) |
| პარმა (იტალია) | — | გენჩლერბირლიგი (თურქეთი) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | — | რუსენბორგი (ნორვეგია) |
| მარსელი (საფრანგეთი) | — | დნიპრო (უკრაინა) |
| სელტიკი (შოტლანდია) | — | ტეპლიცე (ჩეხეთი) |
| პერუჯა (იტალია) | — | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| გროცლინი (პოლონეთი) | — | ბორდო (საფრანგეთი) |
| ვალენსია (ესპანეთი) | — | ბეშიქთაში (თურქეთი) |
| გალათასარაი (თურქეთი) | — | ვილიარეალი (ესპანეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) | — | დებრეცენი (უნგრეთი) |
| სოშო (საფრანგეთი) | — | ინტერი (იტალია) |
| ლივერპული (ინგლისი) | — | ლევსკი (ბულგარეთი) |
| სპარტაკი (რუსეთი) | — | მალიორკა (ესპანეთი) |
| გაზიანთეფსფორი (თურქეთი) | — | რომა (იტალია) |
| ოსერი (საფრანგეთი) | — | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) |
| ვოლერენგა (ნორვეგია) | — | ნიუკასლი (ინგლისი) |

*I მატჩები გაიმართება 2004 წლის 26 თებერვალს, საპასუხოები — 3 მარტს*

## უეფას თასი

UEFA CUP 1/32 ფინალი. საპასუხო მატჩი UEFA CUP

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 0:4 ვალენსია (ესპანეთი) (0:0)

0:1 მისტა (11), 0:2 ბარახა (24), 0:3 ალბელდა (90), 0:4 ანგულო (90)

# უეფამ მაკაბი გადადო, ვალენსიამ გააგდო

მრავალტანჯულ მატჩს გამართვა როტერდამში, „სპარტას“ სტადიონზე ელირსა. ეს შეხვედრა იზმირში უნდა შემდგარიყო, მაგრამ უეფამ სტამბოლური ტერაქტებისგან თავის დაზღვევის მიზნით ჰოლანდიაში გადაიტანა.

გახსოვთ ალბათ, რომ ვალენსიაში, „მესტალიაზე“, ჰაიფას „მაკაბიმ“ ესპანელები მწყობრი დაცვით გააოცა და უგოლო ფრეს მიაღწია. ამჯერად ებრაულ გუნდს სასწაულის გამეორება არ ეწერა, რადგან მატჩის დასაწყისშივე პაბლო აიმარის გამოზომილი პასით მიგელ მისტამ მეკარე დავიდოვიჩს აჯობა და ანგარიში გახსნა.

მოგვიანებით ვისენტე-ბარახას წყვილმა მეორე გოლი შექმნა. ბარახას ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

ორგოლიანი უპირატესობის დაბევების შემდეგ ვალენსიელებმა თავი სამშვიდობოს დაიგულეს და ზედმეტად აღარც შეწუხებულან. მაკაბელებმა შეხვედრის მიწურულს სცადეს შტურმით მეტოქის „დაბომბვა“, მაგრამ მხოლოდ იმას გამორჩნენ, რომ ორი კონტრშეტევა გაეპარათ და წუთში წყვილი გოლი მიიღეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მიდის, მაგრამ სად?

## ნიკი ბათი სკამმა დაღალა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** ნახევარმცველი ნიკი ბათი აცხადებს, რომ მის ირგვლივ შექმნილი ვითარება მის საყვარელ კლუბში აიძულებს „ოლდ ტრეფორდის“ დატოვებაზე იფიქროს, რათა კარიერა ნაადრევად არ შეუწყდეს.

ნაკრებისა და „მანჩესტერის“ ნახევარმცველი, რომელსაც ალისფერი მაისურით უკვე 350-ჯერ უთამაშია, ვარაუდობს, რომ გუნდში დარჩენის შემთხვევაში ყველაზე ცუდი გაგრძელება ელის.

28 წლის ბათს ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაში სჭირდება, რათა სანაკრებო ადგილი შეინარჩუნოს.

„ნორმალური კაცი არ მიატოვებს იმ ადგილს, სადაც კარგად გრძნობს თავს — ამბობს ბათი — წასვლა არ მინდა, მაგრამ თამაში მინდა. იმის გულისთვის, რომ „მანჩესტერში“ ვირიცხებოდე და არ ვთამაშობდე, აქ ნამდვილად ვერ დავრჩები“.

„შტუტგარტთან“ მატჩში ბათი კვლავ სათადარიგოთა სკამზე იყო, ხოლო სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა, ფეხბურთელს ჩემთვის არაფერი უთქვამს და პრესაში გამოქვეყნებულ მის აზრებზე კომენტარს ვერ გავაკეთებო.

ბათს კი იმ დღეს ვარჯიშზე ჩხუბი მოსვლია კრისტიანო რონალდოსთან, რომელსაც ორმხრივი თამაშისას თავისი საფირმო ფინტი, ბურთზე ფეხების გადაბიჯება დაუწყია, ნახევარმცველს კი უთქვამს, რას მეტიჩრობ, ითამაშე, თუ თამაშობ, ვარჯიშია, ფეხბურთი კი არაო. ძიძგილაობისას ფერგის ყმაწვილის მხარე დაუჭერია, როი კინის ტელეკომენტარი კი ამ ამბავთან დაკავშირებით, ჩაცინებით შემოიფარგლა.

ნიკი ბათი მიდის, მაგრამ სად?

საიანვრო ფანჯარას ელოდება სხვა მანჩესტერელიც. ფაბიენ ბარტეზი კარგა ხანია „მარსელთან“ ერთად ვარჯიშობს, ოღონდ ვერც ქირის და ვერც ტრანსფერის გაჩარხვას იანვრამდე ვერ ახერხებს.

**ირაკლი ბამყრელიძე**

**ლონდონიდან**

# განმეორებას ნუ ელი

## მეფური ზრახვები და სერული სიმღერა

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი და სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ახალი შეტევისთვის ემზადებიან. „სამეფო“ კლუბის ბოსებს „რეალის“ თეთრ ფორმაში გამოწყობილი რუუდ ვან ნისტელროი ესიზმრებათ. ჰოლანდიელმა ინგლისში გადასვლის შემდეგ 123 მატჩში 95 გოლი მიითვალა. მადრიდელთა პრეზიდენტის თქმით, მათ სწორედ ასეთი ბრწყინვალე მეგოლე სჭირდებათ.

ხორხე ვალდანოს ჰკითხეს შესაძლო ტრანსფერზე და არგენტინელმა უპასუხა: „დამისახელეთ კლუბი, რომელიც უარს იტყვის ნისტელროის დარ ფორვარდზე. ცხადია, გვსურს მისი გადაბირება, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. ამ თემას მომავალ ზაფხულს დავუბრუნდებით“.

სერ ალექს ფერგიუსონი ჰოლანდიელის გარშემო ატეხილმა აურზაურმა გაანაწყენა: „მერწმუნეთ, განუცხადა მან მედიას, რომ იგივე, რაც დევიდ ბექემის შემთხვევაში მოხდა, აღარასოდეს განმეორდება. ჩვენ არ გვაქვს უფლება, მსგავსი რამ კიდევ ერთხელ დავუშვათ“.

რუუდ ვან ნისტელროი ამჟამად კვირაში 40 ათას გირვანქას იღებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა, ფეხბურთელს ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და ჯამაგირი გაუორმაგოს. თუ ასე მოხდა, ფორვარდის ხელფასი რიო ფერდინანდისა და როი კინისას გაუტოლდება. ინგლისელები იმედოვნებენ, რომ ამ შემთხვევაში ჰოლანდიელს მანჩესტერიდან წასვლის სურვილი არასოდეს გაუჩნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კასპარ შმაიხელს მანჩესტერში მონათლავენ

**დიდი** შანსი არ არის, მაგრამ შესაძლოა, დღეს მანჩესტერულ დერბიში „სიტის“ კარი 17 წლის კასპარ შმაიხელმა დაიცვას.

ალბათ მიხვდით, რომ კასპარ შმაიხელი დიდი პიტერ შმაიხელის შვილია, დიდი პიტერი კი, მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარული მეკარე იყო. ის „იუნაიტედის“ ყველა დროის ხუთ საუკეთესო ფეხბურთელს შორის დაასახელეს. კარიერის დასასრულს კი ერთი სეზონი „სიტიში“ კარსაც იცავდა.

ხოლო კასპარ შმაიხელი სულ ახლახან ჩაირიცხა „სიტიში“ და მესამე მეკარეა.

„იუნაიტედთან“ თამაშის შანსი?

პირველი მეკარე დევიდ სიმენი ფორმაში არ არის. წინა ტურში მან ტკივილგამაყუჩებელი ნემსებით ითამაშა. მეორე მეკარე კევინ ელეგაარდიც არ არის ფორმაში და თუ კევინ კიგანმა გარისკა, ეგებ...

**ირაკლი ნინიძე**



პიტერ და კასპარ შმაიხელები

# WORLD SOCCER-ის გამოკითხვა



*„უორლდ სოკერის“ ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი პაველ ნედვედია, რომელსაც კვალში რუუდ ვან ნისტელროი და რაული უდგანან. მეოთხე ადგილი პაოლო მალდინის ერგო, მეხუთეზე ტიერი ანრი, მეექვსეზე კი რონალდო გასულა.*

*რაც შეეხება მწვრთნელებს, მილანელი კარლო ანჩელოტის პირველობაში მარჩელო ლიპი ეცილებოდა. „შავ-წითელთა“ თავკაცს უმაღლესი საფეხური ერგო, რადგან გუნდმა მეექვსე ჩემპიონთა თასი მისი ძალისხმევით მოიგო. „იუვეს“ „სკუდეტოსთვის“ და ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ლიპის მეორეობა არგუნეს. კარლო ანჩელოტი მეოთხე იტალიელია, „უორლდ სოკერმა“ რომ აღიარა. აქამდე ენცო ბეარზოტი (1982), არიგო საკი (1989) და დინო ძოფი (2000) დაუჯილდოვებიათ.*

*„პორტუს“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ მარჩელო ლიპის შემდეგ მესამეა, ალექს ფერგიუსონი მეოთხე, მეხუთეზე სელტიკელი მარტინ ონილი გავიდა, მეექვსეობა „ლიბერტადორესის თასის“ მფლობელ „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელ კარლოს ბიანკის ხვდა წილად, მეშვიდე კი „სოსიედადის“ ფრანგი თავკაცი რეინალდ დენიოა.*

*კლუბებში პირველობა „მილანისაა“. მეორეზე „იუვენტუსია“, რომელმაც მადრიდის „რეალი“, „პორტუ“ და „სოსიედადი“ ჩამოიტოვა.*

### 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

| | | |
|---|---|---|
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი, ჩეხეთი | 35.9 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერი, ჰოლანდია | 9.5 |
| რაული | რეალი, ესპანეთი | 9.1 |
| პაოლო მალდინი | მილანი, იტალია | 8.2 |
| ტიერი ანრი | არსენალი, საფრანგეთი | 6.1 |
| რონალდო | რეალი, ბრაზილია | 4.3 |
| როი მაკაი | ბაიერნი, ჰოლანდია | 4.0 |
| ანდრეი შევჩენკო | მილანი, უკრაინა | 2.8 |
| რობერტო კარლოსი | რეალი, ბრაზილია | 2.6 |
| დევიდ ბექემი | რეალი, ინგლისი | 2.1 |

### 2003 წლის საუკეთესო მწვრთნელი

| | | |
|---|---|---|
| კარლო ანჩელოტი | მილანი | 19.6 |
| მარჩელო ლიპი | იუვენტუსი | 11.4 |
| ჟოზე მაურინიუ | პორტუ | 10.9 |
| ალექს ფერგიუსონი | მანჩესტერი | 7.5 |
| მარტინ ონილი | სელტიკი | 6.0 |
| კარლოს ბიანკი | ბოკა ხუნიორსი | 5.4 |
| რეინალდ დენიო | სოსიედადი | 4.1 |
| ვისენტე დელ ბოსკე | რეალი | 3.0 |
| ჟაკ სანტინი | საფრანგეთის ნაკრები | 2.8 |
| ფელიქს მაგათი | შტუტგარტი | 2.2 |

### 2003 წლის საუკეთესო გუნდი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილანი | 23.4 | ჩეხეთის ნაკრები | 5.2 |
| იუვენტუსი | 13.8 | საფრანგეთის ნაკრები | 4.9 |
| რეალი | 10.5 | სოსიედადი | 3.9 |
| ბოკა ხუნიორსი | 7.5 | სელტიკი | 2.2 |
| პორტუ | 5.6 | შტუტგარტი | 1.7 |

### ჩილე

კლაუსურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. I მატჩები

კობრელოა 2:0 უონდერერსი

კობრესალი 1:1 კოლო კოლო

### მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. I მატჩები

ატლანტე 0:0 პაჩუკა

ტოლუკა 1:0 ტიგრესი

### ამხანაგური მატჩი

მალტა 0:4 პოლონეთი

0:1 ბიენიუკი (54), 0:2 მილა (56), 0:3 სიკორი (83), 0:4 ბურხარდტი (88)

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მილება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

## იტალია

[illegible]

# გაფრენილები და დაფრენილები

| XIII ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| უდინეზე | ლეჩე |
| პერუჯა | სამპდორია |
| **ხვალ** | |
| ანკონა — | ლაციო |
| ბოლონია — | ინტერი |
| ბრეშა — | ემპოლი |
| იუვენტუსი — | პარმა |
| რეჯინა — | კიევო |
| რომა — | მოდენა |
| მილანი — | სიენა 28.01.2004 |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 12 | 9 | 3 | 0 | 28:4 | 30 |
| მილანი | 12 | 9 | 3 | 0 | 21:4 | 30 |
| იუვენტუსი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:14 | 26 |
| ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 22:7 | 25 |
| პარმა | 12 | 7 | 3 | 2 | 21:12 | 24 |
| ლაციო | 12 | 7 | 1 | 4 | 20:16 | 22 |
| სამპდორია | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 19 |
| უდინეზე | 12 | 5 | 3 | 4 | 16:15 | 18 |
| მოდენა | 12 | 4 | 3 | 5 | 11:13 | 15 |
| სიენა | 12 | 3 | 5 | 4 | 16:12 | 14 |
| კიევო | 12 | 4 | 2 | 6 | 13:18 | 14 |
| ბოლონია | 12 | 2 | 4 | 6 | 12:19 | 10 |
## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | |
| 16.00 | 5217 | ლესტერი-ბირმინგემი | 1,8 | 1,8 |
| 16.30 | 5218 | მანჩესტერი-სიტი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 5219 | ჩელსი-ბოლტონი | 2,0 | 1,6 |
| 19.00 | 5220 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 5221 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5222 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5223 | პორტსმუთი-ევერტონი | 1,8 | 1,8 |
| 18.30 | 5224 | ჰერტა-მიუნხენი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5225 | ჰანზა-კიოლნი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5226 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5227 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5228 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2,1 | 1,55 |
| 18.30 | 5229 | ბოხუმი-აინტრახტი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5230 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 5231 | უდინეზე-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5232 | პერუჯა-სამპდორია | 1,75 | 1,85 |
| 22.30 | 5233 | ესპანიოლი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 00.30 | 5234 | სელტა-ატლეტიკო | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 5235 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| | | **14 დეკემბერი** | | |
| 14.15 | 5236 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 1,65 | 1,95 |
| 16.00 | 5237 | ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5238 | არსენალი-ბლექბერნი | 2,1 | 1,55 |
| 20.05 | 5239 | ლიდსი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 5240 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5241 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2,1 | 1,55 |
| 18.00 | 5242 | ანკონა-ლაციო | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5243 | ბოლონია-ინტერი | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5244 | ბრეშა-ემპოლი | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5245 | იუვენტუსი-პარმა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5246 | რეჯინა-კიევო | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5247 | რომა-მოდენა | 2,1 | 1,55 |
| 20.00 | 5248 | ვალიადოლიდი-მურსია | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5249 | მალაგა-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 5250 | რასინგი-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5251 | სარაგოსა-ალბასეტე | 1,85 | 1,75 |
| 20.00 | 5252 | ბეტისი-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| 22.00 | 5253 | რეალი-დეპორტივო | 2,0 | 1,6 |
| 24.00 | 5254 | ბილბაო-სევილა | 1,75 | 1,85 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | |
| 16.00 | 5417 | ლესტერი-ბირმინგემი | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 5418 | მანჩესტერი-სიტი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 5419 | ჩელსი-ბოლტონი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 5420 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5421 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5422 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 1,45 | 2,8 |
| 19.00 | 5423 | პორტსმუთი-ევერტონი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 5424 | ჰერტა-მიუნხენი | 1,6 | 2,4 |
| 18.30 | 5425 | ჰანზა-კიოლნი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 5426 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 5427 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,4 |
| 18.30 | 5428 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1,5 | 2,6 |
| 18.30 | 5429 | ბოხუმი-აინტრახტი | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 5430 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 1,8 | 2,0 |
| 21.00 | 5431 | უდინეზე-ლეჩე | 1,45 | 2,8 |
| 23.30 | 5432 | პერუჯა-სამპდორია | 1,85 | 1,95 |
| 22.30 | 5433 | ესპანიოლი-ბარსელონა | 2,3 | 1,65 |
| 00.30 | 5434 | სელტა-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 00.30 | 5435 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1,7 | 2,2 |
| | | **14 დეკემბერი** | | |
| 14.15 | 5436 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 1,65 | 2,3 |
| 16.00 | 5437 | ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი | 1,5 | 2,6 |
| 18.00 | 5438 | არსენალი-ბლექბერნი | 1,3 | 3,4 |
| 20.05 | 5439 | ლიდსი-ფულემი | 1,85 | 1,95 |
| 20.30 | 5440 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 20.30 | 5441 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 5442 | ანკონა-ლაციო | 2,5 | 1,55 |
| 18.00 | 5443 | ბოლონია-ინტერი | 2,4 | 1,6 |
| 18.00 | 5444 | ბრეშა-ემპოლი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 5445 | იუვენტუსი-პარმა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 5446 | რეჯინა-კიევო | 1,85 | 1,95 |
| 23.30 | 5447 | რომა-მოდენა | 1,15 | 4,0 |
| 20.00 | 5448 | ვალიადოლიდი-მურსია | 1,45 | 2,8 |
| 20.00 | 5449 | მალაგა-მალიორკა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5450 | რასინგი-ოსასუნა | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5451 | სარაგოსა-ალბასეტე | 1,6 | 2,4 |
| 20.00 | 5452 | ბეტისი-ვალენსია | 2,0 | 1,8 |
| 22.00 | 5453 | რეალი-დეპორტივო | 1,45 | 2,8 |
| 24.00 | 5454 | ბილბაო-სევილა | 1,7 | 2,2 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 16.00 | 5601 | ინგლისი პლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.12 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.12 22.30 | 5603 | ესპანეთი Iლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 12.12 01.00 | 5605 | პორტუგალია სლ (XIV) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 12.12 23.00 | 5606 | ჰოლანდია Iლ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 12.12 23.30 | 5607 | ბელგია Iლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 5517 | ლესტერი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 5518 | მანჩესტერი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5519 | ჩელსი-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5520 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5521 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5522 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5523 | პორტსმუთი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5524 | ჰერტა-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5525 | ჰანზა-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5526 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5527 | ბაიერნი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5528 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5529 | ბოხუმი-აინტრახტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.30 | 5530 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 5531 | უდინეზე-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5532 | პერუჯა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.30 | 5533 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5534 | სელტა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 00.30 | 5535 | ვილიარეალი-სოსიედადი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **14 დეკემბერი** | | | |
| 14.15 | 5536 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 5537 | ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5538 | არსენალი-ბლექბერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.05 | 5539 | ლიდსი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5540 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.30 | 5541 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5542 | ანკონა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5543 | ბოლონია-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5544 | ბრეშა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5545 | იუვენტუსი-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 18.00 | 5546 | რეჯინა-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.30 | 5547 | რომა-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5548 | ვალიადოლიდი-მურსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5549 | მალაგა-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5550 | რასინგი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5551 | სარაგოსა-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 20.00 | 5552 | ბეტისი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.00 | 5553 | რეალი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 24.00 | 5554 | ბილბაო-სევილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 5117 | ლესტერი-ბირმინგემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 16.30 | 5118 | მანჩესტერი-სიტი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 19.00 | 5119 | ჩელსი-ბოლტონი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5120 | ლივერპული-საუთჰემპტ. | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 5121 | მიდლსბრო-ჩარლტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5122 | ნიუკასლი-ტოტენჰემი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 5123 | პორტსმუთი-ევერტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 18.30 | 5124 | ჰერტა-მიუნხენი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.30 | 5125 | ჰანზა-კიოლნი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5126 | ლევერკუზენი-ვერდერი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 18.30 | 5127 | ბაიერნი-შტუტგარტი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.30 | 5128 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 5129 | ბოხუმი-აინტრახტი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.30 | 5130 | კ.ლაუტერნი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 5131 | უდინეზე-ლეჩე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.30 | 5132 | პერუჯა-სამპდორია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 22.30 | 5133 | ესპანიოლი-ბარსელონა | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 00.30 | 5134 | სელტა-ატლეტიკო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 00.30 | 5135 | ვილიარეალი-სოსიედ. | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 14.15 | 5136 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.00 | 5137 | ა.ვილა-ვულვერჰემპტ. | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 5138 | არსენალი-ბლექბერნი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.05 | 5139 | ლიდსი-ფულემი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 20.30 | 5140 | მ.გლადბახი-დორტმუნ. | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.30 | 5141 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 5142 | ანკონა-ლაციო | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 18.00 | 5143 | ბოლონია-ინტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 18.00 | 5144 | ბრეშა-ემპოლი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 5145 | იუვენტუსი-პარმა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 5146 | რეჯინა-კიევო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.30 | 5147 | რომა-მოდენა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 20.00 | 5148 | ვალიადოლიდი-მურსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 5149 | მალაგა-მალიორკა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 20.00 | 5150 | რასინგი-ოსასუნა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 20.00 | 5151 | სარაგოსა-ალბასეტე | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 5152 | ბეტისი-ვალენსია | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.00 | 5153 | რეალი-დეპორტივო | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 24.00 | 5154 | ბილბაო-სევილა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 10-11 დეკემბერი**

# თელ ავივი რუსებმა დაატერორეს

**ქართველებს** კარგი ტური ჰქონდათ, თუმც ტრადიციას დავარღვევთ და მიმოხილვას ბობოლების წაფორხილებით დავიწყებთ.

აქამდე ევროლიგაში ორი უძლეველი გუნდი იყო — მოქმედი ჩემპიონი „ბარსელონა" და თელ ავივის „მაკაბი". მე-6 ტური ამ ტანდემისთვის უიღბლო გამოდგა.

ებრაული გუნდი დრამატულ ბრძოლაში, საცოდავად დამარცხდა. თელ ავივში რუსულარმიული ცსკა ჩასულიყო, რომლის ჩექმაც უკვე აზანზარებს საკალათბურთო ევროპას.

ქალაქში, სადაც ხან ჭურვი გაიფრენს, ხანაც მორიგი კამიკაძე გაიყოლებს რამდენიმე ებრაელს საიქიოში, ამ მატჩის ნახვის მსურველი 10 ათასი კაცი მაინც გამოინახა. B ჯგუფის ლიდერსა და მანამდე უძლეველ „მაკაბის" ქომაგობა არ აკლდა, მაგრამ რუსული ჯარის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. არადა, თითქმის ყველაფერი გაირკვა, როცა მესამე მეოთხედის შუაში მასპინძელი 19 ქულით დაწინაურდა, თუმც რუსი მსოფლიოს არ ეპუება და ნებით ებრაელებს დაუთმობდა რამეს?! მარკუს ბრაუნის და მირსად თურქჯანის შეუპოვრობამ სტუმრებს 15:1 მოაგებინა მესამე ათწუთეულის ბოლო მონაკვეთი და ამ ხელმომჭირნე ებრაელებს ოდენ 5-ქულიანი ლიდერობაღა შერჩათ.

მოსკოველები ისეთ რელსებზე შედგნენ, ძნელი იყო მათი იქიდან გადმოგდება. ებრაელები თავისას მაინც ეცადნენ, ერთხანს 77:70 დაწინაურდნენ, მაგრამ სერბისგან გაწვრთნილ ცსკა-ს დარჩენილ დროში ყველაფერი გამოუვიდა. დებიუტში დაკარგული ლიდერობა არმიელებმა მატჩის უკანასკნელ წუთზე დაიბრუნეს ჯეიარ ჰოლდენის საჯარიმოებით, რის შემდეგაც ბრაუნმა ჩაუტენა მასპინძლებს და სამი ქულით ჩამორჩენილმა „მაკაბიმ" გულსატკენი ალიყური იწვნია.

ზღვა აუდიტორია შეიკრიბა ბელგრადშიც, სადაც კატალონიურ „ბარსელონას" ჩაუძლვა წარმოშობით ამქალაქელი დეიან ბოდიროგა. ბოლო წლების მაჩანჩალა „პარტიზანი" წლეულს შესამჩნევად მომძლავრებულა. არაერთი სოლიდური გუნდი ხომ უკვე დაამარცხა და აგერ ჩემპიონსაც გამოუსვა ცელი. „პარტიზანთა" სიძლიერე უფრო ფასობს სერბებისთვის, ვიდრე, ვთქვათ, ცსკა-ს ძლევამოსილება რუსთათვის. არმიელები ლეგიონერებით არიან გაძეძგილნი და თავის ერს პატრიოტულ გრძნობებს, ცხადია, ისე ვერ გაუღვივებენ, როგორც მონოეთნიკური „პარტიზანი" ნაციონალიზმგაღრმავებულ სერბებს. ბალკანურ გუნდში ერთი-ორი უცხოელი თუა, დანარჩენი პირტიტველა სერბი ჯეელები არიან, რომლებმაც „ბარსელონასთანაც" კი დაამტკიცეს თავიანთი ძალა.

ახლა კი ჩვენებურებზე — ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიამაც" იმარჯვა და მანუჩარ მარკოიშვილის „ბენეტონმაც". სლოვენიურ კლუბს ჯგუფის აუტსაიდერი აეკ-ი კი სტუმრობდა, მაგრამ მასპინძლებს მაინც გვარიანი ჯაფა დაადგათ.

ვლადიმერ ბოისამ შეუცვლელად ითამაშა. ვოვამ თამაშის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე ზუსტი სამქულიანით 69:64 დააწინაურა „ოლიმპია", რამაც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა მასპინძელთა გამარჯვებაში. საერთოდ, ვოვამ 12 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, მისი კაპიტნობით ოლიმპიელებმა მესამე გამარჯვება იზეიმეს და ჯგუფიდან გასვლის არცთუ ურიგო შანსს ინარჩუნებენ.

ჯგუფიდან გასვლის რეალური კანდიდატია ტურნირის უნიათოდ დამწყები „ბენეტონიც". იტალიურმა გუნდმა ორი მატჩი საწყის ტურებშივე წააგო, ახლა კი ყვავილებივით კრეფს გამარჯვებებს. „ბენეტონმა" ამჯერად ბერლინში იძალა „ალბაზე" და ალბათ ეს იყო მანუჩარ მარკოიშვილის საუკეთესო საევროლიგო თამაში. ქართველ უკანახაზელს ბევრი არ უთამაშია, 10 წუთი დაჰყო მოედანზე, თუმც თავისი გუნდის გამარჯვებაში, ბოისასი არ იყოს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

მარკოიშვილმა სულ სამჯერ შეუტია, სამჯერვე შორიდან და ყველა ჩააგდო. „მანომ" ჯერ მესამე მეოთხედის ბოლოს მოიმკა სამქულიანი და ტრევიზოელები მშვიდათ გავიდნენ მცირე შესვენებაზე, შემდეგ, მატჩის ბოლო წუთზეც ტყორცნა მიზანში და მოსაგებად მომართული ბერლინელები საბოლოოდ დააშოშმინა.

რაც შეეხება მესამე ქართველთა გიორგი მდივანს, ის უკვე მესამე მატჩია, გაქრა „პო ორტეზის" სათადარიგოთა სკამიდან. ფრანგულმა კლუბმა უსუსურად დაიწყო ტურნირი და კლუბის ხელმძღვანელებმაც, ეტყობა, უფრო გამოცდილ ხალხს უხმეს. შედეგიც სახეზეა, პოელებმა ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს, ამ ტურში კი სულაც ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, „ულქერი" იმსხვერპლეს, თანაც სტამბოლში.

**ირაკლი პერტაია**



REUTERS

ბარსელონელ გრეგორ ფუჩკას ბელგრადში ხელი მოეცარა

**A ჯგუფი**

**ულქერი 62:78 პო ორტეზი**
ულქერი: გონლუმი (20), ქუთლუაი (14)
პო ორტეზი: ლუკოვსკი (18)

**რომა 80:72 ციბონა**
რომა: ბენერმანი (18), ტონოლი (16)
ციბონა: რიმაჩი (16)

**ოლიმპია 78:77 აეკ**
ოლიმპია: ბაზდარიჩი (16), ბოისა (40 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი)
აეკ: ჯენკინსი (26)

**პარტიზანი 61:57 ბარსელონა**
პარტიზანი: ავდალოვიჩი (12), პაუსი (12)
ბარსელონა: ბოდიროგა (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | +42 | 11 |
| პარტიზანი | 6 | 4 | 2 | +34 | 10 |
| ულქერი | 6 | 3 | 3 | -6 | 9 |
| პო ორტეზი | 6 | 3 | 3 | +24 | 9 |
| ოლიმპია | 6 | 3 | 3 | -11 | 9 |
| ციბონა | 6 | 2 | 4 | -31 | 8 |
| რომა | 6 | 2 | 4 | -13 | 8 |
| აეკ | 6 | 1 | 5 | -39 | 7 |

**B ჯგუფი**

**მაკაბი 84:87 ცსკა**
მაკაბი: პარკერი (24)
ცსკა: ბრაუნი (24)

**ჟალგირისი 98:75 კრკა**
ჟალგირისი: კოტა (20), ბერდი (18)
კრკა: ბადერი (22), ჯიბერტი (14)

**პანათინაიკოსი 91:67 უნიკახა**
პანათინაიკოსი: ხაძივრეტსი (22), ალვერტისი (20)
უნიკახა: ბალოკი (12), კაბეზასი (11)

**სკიპერი 95:86 სიენა**
სკიპერი: დელფინო (19), მოტოლა (17)
სიენა: ტორნტონი (22), ჟუკაუსკასი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 5 | 1 | +83 | 11 |
| მაკაბი | 6 | 5 | 1 | +49 | 11 |
| ჟალგირისი | 6 | 4 | 2 | +29 | 10 |
| სიენა | 6 | 3 | 3 | -5 | 9 |
| სკიპერი | 6 | 3 | 3 | -7 | 9 |
| პანათინაიკოსი | 6 | 2 | 4 | -16 | 8 |
| უნიკახა | 6 | 1 | 5 | -43 | 7 |
| კრკა | 6 | 1 | 5 | -30 | 7 |

**C ჯგუფი**

**პამესა 84:71 ტაუ**
პამესა: დიკუდისი (23), რიგოდო (22)
ტაუ: მასიაუსკასი (19)

**ალბა 70:86 ბენეტონი**
ალბა: კოლინზი (19)
ბენეტონი: გარბახოსა (23), მარკოიშვილი (10 წუთი, 9 ქულა, 1 მოხსნა)

**ვილერბანი 77:92 ოლიმპიაკოსი**
ვილერბანი: მრაზეკი (21), გულიაში (19)
ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (25)

**შლიონსკი 76:69 ეფესი**
შლიონსკი: გრირი (27)
ეფესი: ლანგდონი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 6 | 5 | 1 | +44 | 11 |
| ეფესი | 6 | 4 | 2 | +34 | 10 |
| ბენეტონი | 6 | 4 | 2 | +21 | 10 |
| შლიონსკი | 6 | 4 | 2 | +12 | 10 |
| ტაუ | 6 | 3 | 3 | +19 | 9 |
| ვილერბანი | 6 | 2 | 4 | -51 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 1 | 5 | -27 | 7 |
| ალბა | 6 | 1 | 5 | -52 | 7 |

**NBA რეგულარული ჩემპიონატი**



REUTERS

ლებრონ ჯეიმსი მოგებების ხელობას ეუფლება

# ლებრონი გააღვიძეთ, ვიძირებით! სუპერბიჭუნამ აფრები აუშვა

— 11 დეკემბერი —

**ჰიუსტონი 67:71 სან ანტონიო**
ჰიუსტონი: მობლი (19), ფრენსისი (18)
სან ანტონიო: დანკანი (22)

**კლივლენდი 95:86 დეტროიტი**
კლივლენდი: ბუზერი (28), ჯეიმსი (23)
დეტროიტი: ჰამილტონი (19)

**ფინიქსი 101:111 ნიუ ორლეანი**
ფინიქსი: მარიონი (31), მარბერი (24)
ნიუ ორლეანი: დევისი (29)

„ჩვენ წამგებიან კალათბურთს ვთამაშობთ, ამჯერად კი პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ, ჩემი ბრალია, მეტოქე რომ თავისუფლად გრძნობდა თავს" — სწორედ შენიშნა „დეტროიტის" „რკინის კაცმა" ბენ უოლესმა, ვისი გუნდიც გუშინწინ ბეჩავ „კლივლენდთან" დამარცხდა.

„დეტროიტი" მართლაც უიღბლო ტალღაზე მოექცა. „კლივლენდამდე" „პისტონზი" უაივერსონო „ფილადელფიამაც" დაამარცხა, სულ კი მესამე თამაშია, აგებს.

„კლივლენისთვის" „დეტროიტი" საზოგადოდ მეტად უხერხული მეტოქეა. ლებრონ ჯეიმსს უნდა უმადლოდეს, 8-მარცხიანი სამარცხვინო სერია რომ შეწყვიტა.

„მე და ლებრონმა წავისაუბრეთ მატჩამდე — განაცხადა „კლივლენდის" თავკაცმა პოლ საილასმა — ვთხოვე, უფრო აგრესიულად, ჯარიმის ზღვარზე ეთამაშა და მოედანზე უბურთოდაც კი არ გაჩერებულიყო. ლებრონმა ყველაფერი კარგად შეასრულა. მისით უკმაყოფილო მხოლოდ დეტროიტელები თუ იქნებიან."

ჯეიმსის ანგარიშზეა კლივლენდელთა ბოლო 7 ქულა, თუმც მანამდე ის არც სხვებს ივიწყებდა და დაუნანებლად ჩამოარიგა 9 შედეგიანი გადაცემა. ლებრონს გვერდში ედგა კარლოს ბუზერი, ვინაც 28 ქულით კარიერის რეკორდი გამოჭედა.

რეკორდი ვახსენეთ და აგერ, ანტირეკორდიც: „ჰიუსტონ" — „სან ანტონიოს" მატჩის პირველი ტაიმი ყველაზე ქულანაკლული გამოდგა ნბა-ს ისტორიაში.

„ეს იყო დაცვის ზეიმი. ორივე გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშა საკუთარ ნახევარზე — შენიშნა ტიმ დანკანმა — მეტოქეთა სამიზნე მე გახლდით, სამი, ხანაც ოთხი მეტოქე ხელზე მყავდა დაკიდებული. ასეთი რამ იშვიათად მინახავს."

ჰიუსტონელებმა ბევრი კი სდიეს, მაგრამ დანკანმა მაინც მოახერხა ორმაგი დუბლის შესრულება, რომელიც მისთვის მე-19 გამოდგა 20 საამსეზონო შეხვედრაში.

პირველი ტაიმი 30:25 მოიგო „სან ანტონიომ" ანუ ჯამში 55 ქულა დაიტია თამაშის საწყისმა 24-მა წუთმა. აქამდელი ანტირეკორდი 57 ქულა იყო და ის „დეტროიტსა" და „დენვერს", ასევე „ნიუ იორკსა" და „მაიამის" ჩაუგდიათ ერთმანეთისთვის 2002-03 წლებში.

მატჩი კი „სან ანტონიომ" მოიგო, რითაც თავი დააღწია შუა დასავლეთ დივიზიონის მისთვის უჩველო ბოლო ადგილს.

საკუთარ დივიზიონში ბოლო ადგილზე რჩება მწვრთნელგამოცვლილი „ფინიქს სანზი", რომელმაც ახალდანიშნული მაიკ დანტონის ხელში პირველი მატჩი წააგო. „მზეებმა" აღმოსავლელი ყოჩი „ნიუ ორლეანი" ისტუმრეს და თუმც ძალიან ეცადნენ, მაინც ვერ გაიხარეს.

მაიკ დანტონი თადარიგიანი კაცი ჩანს, წაგებას ცივი გონებით შეხედა — „101 ქულის თავმოყრა არაა ცუდი, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მოგვეგო. საერთო ჯამში არ ვარ უკმაყოფილო, ახლა იწყება ყველაფერი."

**ირაკლი პერტაია**

*დღეს გაურკვეველია, ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. უცნაურია, მაგრამ, გამორიცხული არაა „ლელოებს“ კვლავ კლოდ სორელმა უხელმძღვანელოს. ყოველი შემთხვევისთვის სორელს ისევ აქვს სურვილი ქართველებთან ითანამშრომლოს. ეს არც საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტთან ბიძინა გეგიძესთან პირად საუბარში დაუმალავს. ბიძინა გეგიძე და სორელი გუშინწინ პარიზში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ევროპაში რაგბის განვითარების საბჭოს (FIRA-AER) ყოველწლიური კონგრესი გაიმართა*

# ცვლილებები? მოვიფიქრებთ

## სორელი საქართველოში ახალი ქაღალდებით მოდის



**ბიძინა გეგიძემ და კლოდ სორელმა შეიძლება ისევ ითანამშრომლონ**

— სორელს შევხვდი და საკმაოდ ვრცელი დიალოგი გამოგვივიდა. მე ჩემი ვუთხარი, მან კი თავისი პოზიცია დააფიქსირა. მან ჩვენთან თანამშრომლობის გახანგრძლივების სურვილი გამოთქვა — გვითხრა გუშინ გვიანღამით პარიზიდან დაბრუნებულმა ბიძინა გეგიძემ.

**— რა თანამშრომლობაზეა საუბარი?**

— სორელმა მისეული გრძელვადიანი პროგრამა წარმოადგინა. ეს პროგრამა მოიცავს როგორც სავაისო ერთა თასს, ასევე ოთხწლიან გეგმას, რის საფუძველზეც საქართველოს ნაკრები ოთხი წლის შემდეგაც უნდა მოხვდეს მსოფლიოს თასზე. მე პირადად მომეწონა ეს გრძელვადიანი გეგმა...

**— ესე იგი, დიდი შანსია, სორელი ნაკრების მწვრთნელად დარჩეს.**

— მე ასე ვიტყოდი — დიდი შანსია, რომ სორელი ნაკრების მწვრთნელი აღარ იყოს. ოღონდ ეს მარტო ჩემი გადასაწყვეტი არაა, შევიკრიბებით რაგბის კავშირის დირექტორთა საბჭო და ყველაფერს ავწონ-დავწონით.

ერთია რომ, მე პირადად მომხრე ვარ გრძელვადიანი პროგრამის და სორელის გეგმამაც მომხიბლა, მაგრამ მეორეა, როგორ შეძლებს თავად სორელი მის განხორციელებას. მარტო გეგმის და სამომავლოდ სამუშაოს ლამაზად ჩამოწერა პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. მომხდარის კარგი გაანალიზება და დეტალურად გარჩევაა საჭირო.

**— მაინც რას ეფუძნება სორელის გეგმა?**

— მოკლედ ვიტყვი: ახალგაზრდების ნაკრებში მიწვევასა და შემადგენლობის გადახალისებაზეა საუბარი, ამას გარდა კიდევ არის, რამდენიმე სტრუქტურული ცვლილებებიც.

**— თქვენ, სორელთან ერთად ავსტრალიაში მსოფლიოს თასის ბოლომდე დარჩით. ბუნებრივია პარიზამდეც ისაუბრებდით...**

— რა თქმა უნდა და საკმაოდ დეტალურადაც. ბევრი რამე იქვე გავაანალიზეთ, ოღონდ, რადიკალური ნაბიჯების გაგადადგმის გარეშე.

**— როგორც ქართველი რაგბის პირველი პირი კმაყოფილი ხარ ჩვენი ნაკრების თამაშით?**

— რა თქმა უნდა არა, არც შედეგით და არც თამაშით. ჩვენ მეტი შეგვიძლია.

**— ითქვა, რომ ავსტრალიაში მწვრთნელის კანდიდატურა შემოგთავაზეს...**

— კონკრეტული საუბარი და წინადადება არ ყოფილა, რადგან საამისოდ არც მასპინძლებს ეცალათ და არც დრო იყო. ასე რომ, საუბარი იმაზე თითქოს რეალურად შემოეთავაზებინათ ან ჩვენ მოგვეძებნა კონკრეტული და რეალური კანდიდატურა, ტყუილია.

**— და ბოლოს, როდის გაირკვევა საქარველოს ახალი ან ძველი მწვრთნელის საკითხი?**

— უახლოეს მომავალში. სორელი მალე ჩამოვა და მასთან ერთად გადავწყვეტთ, მის ბედს. სორელი თუ წავიდა, ცხადია ახალ მწვრთნელსაც მოვძებნით.

**— ესე იგი...**

— ახლა მეტს ვერაფერს გეტყვი.

**ბაჩო სვანიძე**



# კაპიტანი

*„ქურციკთა“ კაპიტანმა კორნე კრიხემ მას მსოფლიოში უბინძურესი კაპიტანი უწოდა; ავსტრალიელებმა მყრალ და უჟმურ ბებრად მოიხსენიეს და მით უმეტეს გულზე არ ეხატებათ ფრანგებს. მაგრამ ინგლისელი „ვარდების“ კაპიტანი მარტინ ჯონსონი არ ეძებს მეტოქის სიყვარულს. აი ინგლისის ნაკრებმა კი თავის წინამძღოლთან ერთად უკვე მიაგნო რასაც ეძებდა, უფრო ზუსტად მოიპოვა, რაზეც რაგბის მშობელი ერი ძალიან, ძალიან დიდი ხანი ოცნებობდა. ინგლისმა გასულ თვეში ავსტრალიაში მოიგო მსოფლიოს თასი და მოთამაშეთაგან თუ ვინმეს უნდა უმადლოდეს ამას, პირველ რიგში სწორედ მარტინ ჯონსონს და მის ფრთებქვეშ გაზრდილ ჯონი უილკინსონს*

აღმოსავლეთ მიდლენდის მომცრო ქალაქ მარკ ჰარბორში თითქოს დრო გაჩერებულაო. ეს ბევრი ინგლისელისთვისაც უცნობი დაბა ინგლისური სარაგბო მედინა ლესტერის მახლობლად მდებარეობს. თითქოს ახალზელანდიურ ქარს გადაუვლის ამ რაგბით მოწამლული მიწებისთვის. კოპწია ქუჩებით და რესტორნებში გამოკიდული ძველისძველი შავთეთრი სარაგბო ფოტოებით წარსულის ილუზია იქმნება. იქ მოხვედრილ უცხოს უეჭველად სხვანაირად წარმოუდგინა თანამედროვე ინგლისი. ოდინდელი ტრადიციები კვლავაც მეფობენ და დღევანდელ, „კომერციულ“ ბრიტანეთს განუმეორებელ ხიბლს სძენენ. სწორედ ამ ადგილებიდან იღებს სათავეს ინგლისელი „ვარდების“ კაპიტნის მარტინ ჯონსონის ფართოდ განტოტილი სარაგბო მდინარე.

საფეხბურთო კლუბ „ლივერპულისა“ და „ლესტერ სიტის“ გულჩათხრობილი ქომაგი, ვინსტონ ჩერჩილის თაყვანისმცემელი და მულტსერიალ „სიმპსონების“ ერთგული მაყურებელი მარტინ ჯონსონი ინგლისური სარაგბო ოჯახის განუყოფელი ნაწილია. აი, პიროვნება, რომელმაც, ძველი დიდებით ნაკვებ თაობებს აწმყოში აჩუქა სიხარული. მსოფლიოს თასის მომგებმა კაპიტანმა ჩრდილში მოაქცია თავისი ლეგენდარული წინამორბედები — უილ ქარლინგი და პოლ აკფორი.

„მარტინი ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადამიანია — ამბობს სანაკრებო რაგბში სარეკორდოდ ბევრი, 113 კეპის მომხვეჭი ჯეისონ ლეონარდი — არასოდეს მინახავს მასზე მებრძოლი ადამიანი. ამდენი გამოუვლია და მას აქამდე შერჩა სარაგბოდ საჭირო შეუპოვარი ხასიათი და ცეცხლი. ისაა ყველაზე დიდი ქარიზმა არა მხოლოდ ინგლისში, არამედ მთელს დიდ ბრიტანეთში. ყველანი მზადა ვართ, მას გავყვეთ, რადგანაც თავად მარტინი ყოველთვის ყველაფერს აკეთებს თავისი თანაგუნდელებისთვის.“

ინგლისის ნაკრების ექსკაპიტან ლოურენს დალალიოს და მარტინ ჯონსონს წითელვარდიანი კვართით ათეულობით ომი გადახდენიათ და როგორც სანაკრებო ძმაკაცებს არაერთი მრისხანე მეტოქე დაუჩოქებიათ. თუმცა საკლუბო დონეზე მარტინის „ლესტერ თაიგერზი“ და ლოურენსის „ლონდონ ვოსფსი“ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არიან. ქეიფის და დროსტარების მოყვარული დალალიო სულ იმის ცდაშია, „ბზიკები“ და „ვეფხვები“ მოდანსვარეთ მაინც დააახლოვოს და ჯონსონი მესამე ტაიმში „სათამაშოდ“ ჩაითრიოს — „მეც ვყოფილვარ მისი კაპიტანი, ისიც ყოფილა ჩემი — ამბობს დალალიო — იმედი მაქვს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენ შევძლებთ ლონდონისა და ლესტერის დაახლოებას, რამოდენიმე კათხა ლუდის დალევასა და იმ ტკბილი დროის გახსენებას, რომელიც მოედანზე ერთად გვაქვს გატარებული.“

ქეიფი? კი ბატონო, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ მარტინ ჯონსონი პირველ რიგში კაპიტანია. „ვარდების“ მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი ვერც ინატრებდა უკეთესს.

„მარტინი მოედანზე და მოედნის გარეთ ორი სრულიად განსხვავებული ადამიანია. მოედანზე თვალებჩაშავებული მკაცრი გამოხედვის, მსაჯებთან გამუდმებით მოკამათე და ჟურნალისტებთან მოღუშული სახით მოსაუბრე მარტინი ცხოვრებაში ძალიან კეთილი და ნორმალური ადამიანია“ — ეს უკვე კაპიტნის ძმის ფილ ჯონსონის სიტყვებია.

სამწუხაროდ, ძმის სიტყვებს დადასტურებას მარტინის დედა ჰილარი ჯონსონი ვერ შესძლებს. იგი გასულ წელს სიმსივნით გარდაიცვალა. სწორედ დედის უდიდესი დამსახურებაა შვილის სპორტსმენობა.

თავად სპორტსმენი ჰილარი დიდ დროს უთმობდა შვილების ფიზიკურ აღზრდას, დროის დიდ ნაწილს სამ ვაჟთან ენდრიუსთან, მარტინთან და ფილთან ერთად დარბაზში ატარებდა. ტანვარჯიში, მთებში სირბილი, მარათონი ჯონსონების ცხოვრების წესი იყო. თავის მხრივ, ჰილარისაც ჰყავდა მისაბაძი. მარტინის ბაბუა, ჰილარის მამა ინგლისის ფეხბურთელთა სამოყვარულო ნაკრებში თამაშობდა, ხოლო დიდი ბაბუა სახელგანთქმული მოკრიკეტე გახლდათ და სიცოცხლის ბოლო წუთებიც მოედანზე გაატარა — შუა მატჩის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა.

მარტინის მამა დავიდ ჯონსონი ლივერპულის მახლობლად ქალაქ უიგანში ცხოვრობდა და ქალაქის ტიტულოვან გუნდში 13-კაცა რაგბის თამაშობდა. 70-იან წლებში იგი სამუშაოდ ბირმინგემში გადავიდა. ამ დროისთვის ჯონსონები მონაწილეობდნენ საოჯახო შეჯიბრში და ასე განსაჯეთ, დიდი ბრიტანეთის ყველაზე ჯანმრთელ ოჯახადაც მოიხსენიებოდნენ.

მოღუშული და ბრაზიანი გამომეტყველების მარტინი სიტყვაძუნწიცაა, არ უყვარს ბევრი ლაი-ლაი და ამას ყველა აღნიშნავს.

ისევ ლოურენს დალალიო — „არსებობენ ისეთი კაპიტნები, რომლებიც მატჩამდე და შესვენების დროს ბევრს ლაპარაკობენ. მარტინი ამ კატეგორიას არ განეკუთვნება. ერთ-ორს იტყვის და ესეც კმარა იმისათვის, რომ ყველამ საკუთარი შეცდომა გამოასწოროს. გასახდელში მისი მოკლე ნათქვამიც კი საკმარისია.“

კლაივ ვუდვორდი — „მარტინი ბევრს არ ლაპარაკობს, თუმცა სამხრეთ აფრიკასთან მატჩის წინ აცნობიერებდა, თუ როგორი საჭირო იყო ინგლისელთათვის მოგება და ბიჭებიც გვარიანად დამოძღვრა. დამარცხებული ხომ ახალ ზელანდიას ხვდებოდა. მე შემიძლია, მისი იმედი ბოლომდე ვიქონიო, ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.“

მარტინ ჯონსონის სანაკრებო კარიერა 21-წლამდელთა ნაკრებიდან დაიწყო, რასაც ინგლისის დიდი ნაკრები და ბრიტანელი „ლომების“ 1993, 1997, 2001 წლების ტურნეები მოჰყვა. ახლა კი ის მსოფლიოს ჩემპიონია. 33 წლისაა, მაგრამ დიდი რაგბიდან წასვლაზე ჯერ არ ფიქრობს. შესაძლებელია, სპორტულ კარიერას დასრულების შემდეგ მან მწვრთნელობას მიჰყოს ხელი, ან სულაც თავისი „სამოქალაქო“ პროფესია გაიხსენოს და ბანკირი გახდეს. თუმცა ჯერჯერობით მარტინ ჯონსონი „ვარდების“ კაპიტანია, კაცი-გიგანტი, რომელსაც თამამად მიყვება მსოფლიოს საუკეთესო ნაკრები.

**არჩილ ჭუმბურიძე**



# მძიმე წონა დამძიმდა

**დღეს-ხვალ** არმიის სპორტული კლუბის დარბაზი ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სეზონის ბოლო ტურნირში მონაწილეობას ნაკრების თითქმის ყველა წევრი და კანდიდატი მიიღებს. როგორც შოთა ხაბარელმა ამასწინათ პრესკონფერენციაზე თქვა, შიდა ჩემპიონატში თავგამოჩენილებს მომავალი წლის სალიცენზიო ტურნირებში თავის გამოჩენის შანსი მიეცემათ. რამდენიმე წონაში კი ათენის საგზურის მაძიებელნი უკვე გამოვლინდნენ. ნესტორ ხერგიანმა (60კგ) და დავით მარგოშვილმა (66კგ) უკვე მოასწრეს გუნდში ადგილის დაჯავშნა და მწვრთნელმაც მათ დასვენების უფლება მისცა. ლიცენზიის მქონე ზურაბ ზვიადაური კი არათუ საქართველოს, არამედ საგაისო სალიცენზიო ტურნირების უმრავლესობასაც გამოტოვებს.

ყველაზე დიდი კონკურენცია მძიმე წონაში იგრძნობა. ზვიად ხანჯალიაშვილსა და ალექსი დავითაშვილს ოლიმპიადაზე მოხვედრის თითქმის თანაბარი შანსები აქვთ და საქართველოს ჩემპიონატზე მათი დაპირისპირება ბევრ კითხვასაც გასცემდა პასუხს, თუმც, როგორც შევიტყვეთ, ამჯერად ორივე მათგანმა შეიკავა თავი ამ ტურნირზე გამოსვლისაგან.

დღეს მსუბუქი წონები იჭიდავებენ. 60, 66 და 73 კილოგრამში საღამოს უკვე მედალოსნები გამოვლინდებიან, ხვალ კი დარჩენილი ოთხი წონა იასპარეზებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



NHL

რეგულარული ჩემპიონატი

# გაანძრიეთ ფეხები!

## ახალი მწვრთნელიც კარგად გვის

— 1 დეკემბერი —

**ვაშინგტონი 6:5 ბოსტონი**

*3:2 1:1 2:2*

0:1 კნუბლი (3), 1:1 ბონდრა (4), 2:1 იაგრი (5), 3:1 პეტნგერი (7), 3:2 მაკგილისი (10), 4:2 ბატალია (25), 4:3 ლაპოინტი (28), 5:3 ზუბრუსი (55), 6:3 ჰელპერნი (59), 6:4 დონატო (59), 6:5 გრინი (60)

„ვაშინგტონის" თავკაცი გლენ ჰენლონი რას წარმოიდგენდა, რომ მისი დებიუტი ესოდენ შინაარსიანი და დამქანცველი გამოდგებოდა. ბრიუს კერდის ადგილზე დანიშნულმა მწვრთნელმა პირველ თამაშშივე შეძლო შეგირდების გამოცოცხლება. აქამდე ერთობ ინერციული „კეპიტალიზი" სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა.

„დილის ვარჯიშზე ბევრი არც ულაპარაკია. ფეხები სულ ამოძრავეთ და ყველაფერი კარგად იქნებაო, გვითხრა" — ეუბნებოდა მატჩის შემდეგ „ვაშინგტონის" მეკარე ოლაფ კოლციგი ჟურნალისტებს. ჰენლონის შეგირდებმა მართლაც ჩინებულად იმოძრავეს და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ამით სჯობდნენ მეტოქეს. იაროშირ იაგრიც მშვენიერ ხასიათზე იყო. სავარაუდოდ, სწორედ ჩეხი გახლდათ კვსიდის გადაყენების მთავარი ინიციატორი. „ვაშინგტონის" ლიდერმა პასს ჩინებული გარღვევის შემდეგ გატანილი გოლიც დაამატა.

ყველაფერი მართლაც ძალიან კარგად იყო, მაგრამ როგორც კი ბოლოსწინა წუთზე ბოსტონელმა ჯეფ ჰელპერნმა ცარიელ კარში გაიტანა და ანგარიში 6:4 გახადა, მასპინძლებს „ფეხების მამოძრავებელი" გაუფუჭდათ. ამის შემდეგ „ბოსტონმა" ორი შაიბის გაქვითვა მოახერხა და ლამის ფრესაც გამოჰკრა ხელი.

**ნეშვილი 1:4 ლოს ანჯელესი**

*0:1 1:2 0:1*

0:1 პალფი (9), 0:2 რობიტაილი (33), 0:3 ჰოლანდი (34), 1:3 ერატი (39), 1:4 პალფი (60)

**ვანკუვერი 1:1 კოლორადო**

*0:1 0:0 1:0 0:0*

0:1 ბლეიკი (7), 1:1 ჟვანოვსკი (47)

**ოტავა 3:2 ტამპა**

*1:1 1:0 1:1*

0:1 ანდრეიჩუკი (10), 1:1 ბონკი (11), 2:1 სმოლინსკი (26), 3:1 ჰოსა (52), 3:2 ფედოტენკო (53)

**ჩიკაგო 4:3 დეტროიტი**

*2:0 0:1 1:2 1:0*

1:0 არნასონი (4), 2:0 რადულოვი (16), 2:1 დრეიპერი (36), 2:2 დაციუკი (45), 3:2 რუუტუ (54), 3:3 შენაჰანი (59), 4:3 ბელი (61)

„ჩიკაგომ" შვებით ამოისუნთქა. 14-მატჩიანი უხეირო სერიის შემდეგ „ქორებმა" როგორც იქნა მოიგეს, თან მრისხანე „დეტროიტს" ოვერტაიმში სძლიეს. ესოდენ წარუმატებელი სერია ჩიკაგოელებს 1959 წელს ჰქონდათ და მაშინაც „წითელფრთიანთა" დაამარცხებმთ ამოისუნთქეს.

**სან ხოსე 2:2 ედმონტონი**

*2:1 0:1 0:0 0:0*

1:0 მარლო (6), 1:1 ჯ. სმიტი (11), 2:1 მარლო (15), 2:2 პემსკი (37)

**კალგარი 1:0 კაროლინა**

*0:0 0:0 1:0*

1:0 დონოვანი (42)

**მინესოტა 0:1 ტორონტო**

*0:1 0:0 0:0*

0:1 ფიჯერალდი (12)

ედ ბელფორი მარტინ ბროდოს გამოეკიდა. როგორც კი წინა დღეს „ნიუ ჯერსის" მეკარემ კარიერაში 70-ე შატაუტი მიითვალა, მისმა ტორონტოელმა კოლეგამაც არ დააყოვნა და კვლავ შეამცირა სხვაობა ორამდე ლიგაში ამ მაჩვენებლით ყველაზე წარჩინებული მეკარეების დავაში.




REUTERS

ტორონტოელი ტომ ფიცჯერალდი მინესოტელ მარიან გაბორიკს შეაჭდა

| აღმოსავლეთი | | | | | | | NHL | დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | | **ცენტრი** | | | | | | |
| ფილადელფია | 28 | 17 | 7 | 1 | 3 | 84:52 | 42 | დეტროიტი | 31 | 17 | 3 | 1 | 10 | 107:77 | 38 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 15 | 6 | 0 | 5 | 61:40 | 36 | სენტ ლუისი | 25 | 16 | 2 | 1 | 6 | 70:55 | 35 |
| რეინჯერსი | 28 | 10 | 5 | 2 | 11 | 75:72 | 27 | ნეშვილი | 27 | 14 | 1 | 0 | 12 | 68:70 | 29 |
| აილენდერსი | 27 | 11 | 2 | 1 | 13 | 72:72 | 25 | ჩიკაგო | 29 | 7 | 5 | 3 | 14 | 57:84 | 22 |
| პიტსბურგი | 27 | 6 | 4 | 2 | 15 | 54:98 | 18 | კოლუმბუსი | 27 | 8 | 4 | 1 | 14 | 55:75 | 21 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | | **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 30 | 16 | 5 | 3 | 6 | 82:73 | 40 | კოლორადო | 28 | 16 | 4 | 1 | 7 | 87:64 | 37 |
| ბოსტონი | 29 | 12 | 7 | 4 | 6 | 78:73 | 35 | ვანკუვერი | 29 | 15 | 5 | 2 | 7 | 88:67 | 37 |
| ოტავა | 28 | 13 | 3 | 3 | 9 | 86:62 | 32 | კალგარი | 27 | 14 | 1 | 3 | 9 | 65:60 | 32 |
| მონრეალი | 29 | 13 | 3 | 1 | 12 | 63:66 | 30 | ედმონტონი | 28 | 11 | 4 | 0 | 13 | 75:84 | 26 |
| ბუფალო | 29 | 12 | 2 | 1 | 14 | 65:80 | 27 | მინესოტა | 29 | 10 | 5 | 0 | 14 | 57:62 | 25 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | | **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| ატლანტა | 30 | 15 | 3 | 1 | 11 | 92:87 | 34 | ლოს ანჯელესი | 29 | 15 | 1 | 3 | 10 | 79:68 | 34 |
| ტამპა | 26 | 13 | 4 | 1 | 8 | 63:53 | 31 | სან ხოსე | 29 | 9 | 10 | 2 | 8 | 69:70 | 30 |
| კაროლინა | 29 | 8 | 8 | 1 | 12 | 55:69 | 25 | ანაჰაიმი | 29 | 10 | 4 | 5 | 10 | 65:79 | 29 |
| ფლორიდა | 29 | 9 | 5 | 1 | 14 | 61:79 | 24 | ფინიქსი | 28 | 10 | 7 | 1 | 10 | 70:82 | 28 |
| ვაშინგტონი | 29 | 9 | 1 | 1 | 18 | 76:94 | 20 | დალასი | 29 | 11 | 3 | 0 | 15 | 60:72 | 25 |

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 36(15+21); კოვალჩუკი (ატლანტა) 35(18+17); ლანგი (ვაშინგტონი) 35(15+20); ტანგეი (კოლორადო) 35(9+26); დაციუკი (დეტროიტი) 33(15+18); იაგრი (ვაშინგტონი) 32(11+21); ჰალი (დეტროიტი) 31(16+15); პალფი (ლოს ანჯელესი) 31(10+21); საკიკი (კოლორადო) 31(9+22); ბერტუცი (ვანკუვერი) 30(8+22); ნადი (ფინიქსი) 29(13+16); სუნდინი (ტორონტო) 29(11+18); ჰოსა (ოტავა) 29(11+18); ტორნტონი (ბოსტონი) 29(6+23)



მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები

ხორვატია. 2-14 დეკემბერი. მეორე ეტაპი




REUTERS

რუსთა ძლევაში რაფაელა ტერვემაც შეიტანა წვლილი

# ჩემპიონს არ უნდა გაეხარა

## რუსები ტრადიციების მდინარემ წაიღო

**მეორე** ჯგუფური ეტაპი უდიდესი სენსაციით დასრულდა — მსოფლიოს ჩემპიონ რუსეთს უტიტულო საფრანგეთი მოერია და ნახევარფინალისკენ გზა გადაუღობა. არადა, სლავებს მატჩი ფრედაც რომ დაესრულებინათ, სადამდეც მხოლოდ ერთი ბურთი დააკლდათ (19:20), ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდოდნენ და სამედლო ბრძოლას გააგრძელებდნენ.

ეს თამაში მეტად დაძაბული და ამასთან მთელ ჩემპიონატში ყველაზე მწირგოლიანი გამოდგა. საწყის 15 წუთში მხოლოდ ხუთი გოლი გავიდა — 4:1 რუსების სასარგებლოდ და მერეც, ნახევარი საათი ისინი იყვნენ წინ, ვიდრე რაფაელა ტერვე გაუთანაბრებდა — 12:12. შემდეგ ბრძოლა ქულა-ქულაში გაგრძელდა, მატჩის მიწურულს კი ფრანგებს უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდათ.

ამრიგად, არ დარღვეულა ტრადიცია, რომლის თანახმადაც ბოლო ათ წელს ჩემპიონები იცვლებიან — გერმანია, კორეა, ჩანია, ნორვეგია, რუსეთი...

ესპანეთი კორეას კი გაუძალიანდა, მაგრამ მაინც მოუხდა დანებება (29:32). არადა, პირინეელებისთვის ფრეც საკმარისი იქნებოდა შანსის შესანარჩუნებლად. ახლა კი მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის უნდა იწვალონ, თუმც საამისო სტიმულიც მოეძებნებათ — სწორედ ხორვატიაში საუკეთესო ხუთეული მიიღებს ათენის ოლიმპიადის საგზურს.

ვადამდე ერთი ტურით ადრე ნახევარფინალში გასვლაგანაღდებულმა უკრაინამ უნგრეთთან, ეტყობა, ძალები დაზოგა და მთელი ყურადღება საფრანგეთთან დღევანდელ შეხლაზე გადაიტანა. მადიართა უხვგოლიან გამარჯვებაში (35:23) ბოიანა რადულოვიჩის რვაბურთიანი წვლილი დევს და მან თითქმის გაინაღდა კიდეც ტურნირის ბომბარდირის წოდება.

მსოფლიოს ვიცეჩემპიონმა ნორვეგიელებმა სლოვენიელებს კი სძლიეს (29:28), მაგრამ ნახევარფინალში გასასვლელად ეს არ ეყოთ, რადგან ქულათა თანაფარდობისას კონკურენტებთან ურთიერთშეხვედრებში უარესი შედეგის გამო ჯგუფში მხოლოდ მესამე პოზიციაზე დარჩნენ.

**გია ახალაძე**

საბოლოო ვითარება

| პირველი ჯგუფი (ზაგრები) | | | | | | მეორე ჯგუფი (რიეკა) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 0 | 1 | +7 | 8 | უნგრეთი | 3 | 1 | 1 | +25 | 7 |
| კორეა | 3 | 0 | 2 | +7 | 6 | უკრაინა | 3 | 1 | 1 | -8 | 7 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 2 | +1 | 5 | ნორვეგია | 3 | 1 | 1 | +9 | 7 |
| რუსეთი | 2 | 1 | 2 | 0 | 5 | სლოვენია | 2 | 0 | 3 | -12 | 4 |
| სერბეთი | 2 | 0 | 3 | -13 | 4 | რუმინეთი | 1 | 1 | 3 | -5 | 3 |
| ავსტრია | 1 | 0 | 4 | -2 | 2 | გერმანია | 1 | 0 | 4 | -9 | 2 |

**ნახევარფინალი. დღეს**

**საფრანგეთი — უკრაინა** **უნგრეთი — კორეა**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# თბილისური ჰკა მაგას!

მსოფლიოს მიფენილი საბრძოლო ხელოვნება პანკრატიონის აჭარის ფედერაციამ გუშინ სპორტის სასახლეში წესების გარეშე მებრძოლები შეკრიბა და ნაკრების ჩამოსაყალიბებლად ერთმანეთთან აჩხუბა.

5 წონად დაჯგუფებული ბიჭების დიდი წილი პანკრატიონშივე გამობრძმედილი გახლდათ და იაპონურ ფიცარნაგებზე წარმატებებს დაჩვეულებმა თბილისშიც მოახერხეს თავის გატანა.



თუ რინგზე ვნებიანად ატორტმანებულ შილიფად ჩაცმულ გოგონებს გამოვტოვებთ — ან კი რატომ უნდა გამოვტოვოთ — ყველაზე დიდი ულუფა ტაში 80-კილოიან რუსთაველ ძმებს იაგო და სოსო ახალკაცებს ერგოთ. სასტიკ შეტაკებებში ნაწრთობი პანკრატოსნები ფინალში მქუხარე გამარჯვებებით გავიდნენ, იქ კი წინ ერთმანეთს დაუდგნენ. ცხადია, დედმამიშვილებმა მეტოქეებზე ნაკლები გამეტებით ჰგვემეს საკუთარი სისხლი და ხორცი, მაგრამ რომელიმეს ხომ უნდა გაემარჯვა? ჰოდა, ჩხუბი მაინც შედგა და გამარჯვებასთან ერთად ნაკრების წევრობა იაგომ მოიპოვა, ოღონდ ნოკაუტით არა და, ქულებით.

პანკრატოსნებმა იმარჯვეს 90 კილოგრამ და მძიმე წონებშიც. დიმიტრი გოგოლიძემ და დავით შველიძემ ჩემპიონობამდე მოჭიდავეები და მოკრივეები ჩამოიცილეს.

ხოლო 65 კილოიანებში გვერდში ვერავინ დაუდგა ახმეტელ კუნფუისტ გია ჟივაძეს. 72-ში კი ყველას ზუგდიდელმა ქუჩის მოჩხუბარმა თამაზ კორკელიამ აჯობა. თითო კუნთმაგარი ჯეელი „გამოიყვანა“ პოლიციის და კომანდოს ბატალიონის ამქარმა, მაგრამ წარმატებას ვერც ერთმა მიაღწია.

ამ ყველაფერს გაგრძელებაც აქვს — ჩემპიონები ათ დღეში ოდესაში ჩავლენ და საქართველოს ნაკრების სახელით ხახოლებს შეებმებიან.






სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოხა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge